

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ქალი

3
1983

LSSN. 0821-1509

# გილოცავთ 8 მარტს!

ეროვნული ბიბლიოთეკა



დ. იაკობაშვილის ფოტოეტიუდი.

„საქართველოს ქალი"

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დისციპლინა და ორგანიზებულობა

ჩვენი რესპუბლიკა, ისევე როგორც მთელი საბჭოეთი, მეთერთმეტე ხუთწლედის შუაგულ წელში გადადგა. ამ შუაგულიდან კი შთამბეჭდავად მოჩანს განვლილიცა და გასავლელიც, შექმნილ-გაკეთებულიც და სამომავლო საზრუნავიც.

ყოველივე ამის უკეთ დანახვასა და გააზრებაში ჩვენი ნათელი ნიშანსვეტია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმი, რომლის გადაწყვეტილებებსაც დიდი მოწონებითა და გაგებით შეხვდა მთელი საბჭოთა ხალხი, გაჩაღდა საინტერესო, ჭეშმარიტად შემოქმედებითი საქმიანობა ამ გადაწყვეტილებათა უთუო შესრულებისათვის.

რა არის პლენუმის მთავარი შინაარსი და სულისკვეთება? მის დიდმნიშვნელოვან დოკუმენტებში ხაზგასმით არის აღნიშნული ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მემკვიდრეობითობა, დახასიათებულია ხუთწლედის მესამე შუაგული წლის გეგმა და ბიუჯეტი, ღრმად არის გაანალიზებული ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობა, ნაჩვენებია როგორც სახალხო მეურნეობის განვითარების სიძნელეები და ნაკლოვანებები, ისე მათი დაძლევის საიმედო გზები.

ყველა ჩვენგანს კარგად მოეხსენება, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობამ დააკონკრეტა პარტიის ხანგრძლივი სტრატეგია მიმდინარე ხუთწლედისა და მთლიანად ოთხმოციანი წლებისათვის.

პლენუმზე გამოსვლისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა აღნიშნა: „საჭიროა შევქმნათ ისეთი პირობები — ეკონომიკური და ორგანიზაციული, რომლებიც სტიმულს მისცემდა ხარისხიან, ნაყოფიერ შრომას, ინიციატივას, თაოსნობას. და პირიქით, ცუდი მუშაობა, უნიათობა, უპასუხისმგებლობა ყველაზე უშუალოდ და გარდაუვლად უნდა ახდენდეს გავლენას მუშაკთა მატერიალურ ანაზღაურებაზეც, სამსახურებრივ მდგომარეობაზე და მორალურ ავტორიტეტზეც".

რა გვჭირდება საამისოდ? თავი და თავი საზრუნავია ყოველ უბანზე, მართვის ყველა სფეროში სახელმწიფო, შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცება, მუშაობაში ორგანიზებულობისა და გეგმიანობის ამაღლება, სოციალისტური შეჯიბრების, როგორც ადამიანთა ცოცხალი შემოქმედების, კიდევ უფრო ფართოდ განვითარება, რეზერვების გონივრული გამოყენება, მომჭირნეობა და ყაირათი, უმცირესი დანახარჯებით უმაღლესი საბოლოო შედეგების მიღწევა.

დიახ, სანიმუშო დისციპლინისა და მტკიცე ორგანიზებულობისათვის ბრძოლა მთელი ძალით გაჩაღდა. ახალი წლის წინადღეებში ამ მოძრაობის პიონერები მოსკოვის მოწინავე კოლექტივები გახდნენ. მათ ფართოდ დაუჭირეს მხარი ჩვენს რესპუბლიკაშიც, სადაც ძალიან კარგად იციან დისციპლინის ფასი. ვის არ ახსოვს ამ ათი წლის წინათ თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი და დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნების კოლექტივების, აგრეთვე ქობულეთის რაიონის ხუცუბნისა და გორის რაიონის ტყვიავის სახოფლო საბჭოების მშრომელთა მიერ წამოწყებული დიდი ლაშქრობა პარტიული, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკიცებისათვის, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. სწორედ ამ ბრძოლამ, შემდეგში საყოველთაო და შეტევითი ხასიათი რომ მიიღო, საზოგადოებრივი ატმოსფეროს მნიშვნელოვნად გაჯანსაღება, სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე თვალსაჩინო წარმატებანი შეგვაძლებინა.

ეს არის კონკრეტული ფაქტი თვითონ ინიციატორთა საქმიანობიდან: დისციპლინის განმტკიცებით უკანასკნელი წლების მანძილზე საავიაციო ქარხანამ თითქმის ერთისამად გაზარდა გამომუშავება ყოველ მუშაზე საშუალოდ, ხოლო ტყვიავის კოლმეურნეობამ — ოვაჯერ გაადიდა ხილის წარმოება.

დღეს საქართველოში დისციპლინისათვის, ორგანიზებულობისათვის ბრძოლის თაოსნები კვლავ ავიამშენებლები არიან, მათი პატრიოტული ინიციატივის დევიზი ასეთია: „სანიმუშო დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, აქტიურობა და პასუხისმგებლობა — თითოეულისაგან, ყველგან და ყველაფერში!"

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ წლეულს, 10 იანვარს, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის კრებაზე გამოსვლისას აღნიშნა:

„ჩვენი რესპუბლიკის, მთელი ჩვენი დიადი სამშობლოს აყვავების, ჩვენი ადამიანების უკეთესი ცხოვრების საკეთილდღეოდ ვაჩაღებთ ბრძოლას დისციპლინისა და ორგანიზებულობისათვის. ამ ბრძოლის წარმატებაზე, იმაზე, თუ რა მორალურ კლიმატს შევქმნით რესპუბლიკაში, იმაზე, თუ როგორ ვიშრომებთ და ვიცხოვრებთ, დამოკიდებულია საბჭოთა საქართველოს ავტორიტეტი, აქ მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების ბედნიერება და სიკეთე".

როდესაც დისციპლინაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში მარტო შრომის დისციპლინა როდი გვაქვს, მარტო იმას როდი უნდა ვაკონტროლებდეთ, თუ სამუშაოზე ვინ არ მოვიდა, ან დააგვიანა. რა თქმა უნდა, ეს ერთ-ერთი მთავარი საკითხია, მაგრამ ამასთანავე დიდი ყურადღება სჭირდება საგეგმო, საფინანსო, სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებას, სიტყვისა და საქმის ერთიანობის დაცვას. და ეს განსაკუთრებით საჭიროა დღეს, როცა ჩვენი შრომისა და აღმშენებლობის ამოცანები ესოდენ გაბედულია, მასშტაბურია, როცა ამასწინათ გამართულმა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ განიხილა და დაამტკიცა რესპუბლიკის მშრომელთა 1983 წლის სოციალისტური ვალდებულებები, რომელთა წარმატებით განხორციელება ახალ დიდ აღმასვლას გვპირდება.

ყველას კარგად უნდა ახსოვდეს: გეგმა კანონია და იგი აუცილებლად უნდა შესრულდეს. ამ მოთხოვნით უნდა მივუდგეთ აგრეთვე ვალდებულებებსაც, რადგან, ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს, თუ იკისრე, შეასრულე კიდეც! მკაცრად უნდა დავგმოთ სახელმწიფო გეგმების კორექტირების მავნე პრაქტიკა. ამის თაობაზე ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა ერთხელ კიდევ გაამახვილა ყურადღება მოსკოველ ჩარხმშენებლებთან შეხვედრისას და ნათლად განმარტა, რომ გეგმების შემცირებისაკენ ლტოლვა წარმოების და პოხახლეობის ფულადი შემოსავლის ზრდას შორის მუდამ დისპროპორციას იწვევს.

საქართველოს მშრომელი ქალი, მამაკაცების მხარდამხარ ყველა საქვეყნო საქმისათვის თავდადებით რომ იღვწის და ირჯება, მუდამ წესრიგის, დისციპლინის აქტიური დამცველი იყო. მაღალი დისციპლინიანობა, მათი მეთაურობა ამ მხრივ განსაკუთრებით ოჯახში, საცხოვრებელ ადგილას ვლინდება — ბავშვების აღზრდას ეხება ეს, თუ საოჯახო ნივთების მოვლა-დალაგებას, ამიტომ დღეს, როგორც არასდროს, უფრო მეტად უნდა გამოჩნდეს დისციპლინისათვის მისი აქტიური ბრძოლის უნარი სამუშაო უბანზეც, შრომითს კოლექტივშიც, სადაც მატერიალური ფასეულობა იქმნება, სადაც პრაქტიკულად ხორციელდება სახალხო დოვლათის შექმნა-გამრავლების პასუხსაგები პროგრამა.

## მეცხოველეობა დამკვრელური ფრონტია

# გამარჯვება

ეროვნული ბიბლიოთეკა



კომკავშირული ბრიგადა

მთაში დაიბადა, გაიზარდა, იქვე გაატარა ყმაწვილქალობა, იქვე შეეპარა თმაში ჭაღარა. მერე ბარში ჩამოვიდა, სართიჭალის კომპლექსში მივიდა. ის იყო ცხოვრების საგზურს ილებდა ახლად დაბადებული საწარმო. პირველი განცხადება მან დაწერა. მერე მისი მეუღლეც მოვიდა და მეხბორედ დაიწყო მუშაობა, ვაჟიშვილიც მშობლების გზას დაადგა, მოზარდეულში მწყემსად წავიდა. და ასე, მთელი ოჯახი შეუდგა ახლად ფეხადგმულ კომპლექსში შრომას.

ექვსი წელია ერთად მიაბიჯებენ ცხოვრების დიდ გზაზე ხანდაზმული მარიამ გოგოჭური და ახალგაზრდა სართიჭალის კომპლექსი.

კაცმა რომ თქვას, ექვსი წელი დიდი დრო არ არის, მაგრამ კომპლექსმა დიდი და საიმედო ნაბიჯები გადადგა. დიახ, ახსოვს ყოველი მარიამ გოგოჭურს.

ახლად დამთავრებულ კომპლექსში რესპუბლიკის გარედან პირუტყვი შემოიყვანეს, მაგრამ არ იყო მოგვარებული მთავარი რამ — საკვები ბაზა. მეურნეობა დიდი რაოდენობით ყიდულობდა საკვებს, მაგრამ პირუტყვი ნახევრად მშიერ ულუფაზე იყო. ხშირი იყო პირუტყვის გაბერწება, მცირე იყო პროდუქტიულობა. 1977 წელმა კომპლექსის ბიოგრაფიაში დატოვა ასეთი სურათი — თითოეულ ფურზე მიილეს 1.200 კილოგრამი რძე, სულ — 380 ტონა.

მერე წლებს მიჰყვებოდა წლები და მარიამის თვალწინ იზრდებოდა, ძალას იკრებდა კომპლექსი. და აი ამ ზრდის მაჩვენებელი ციფრებიც: 1982 წელს კომპლექსში თითოეულ ფურზე საშუალოდ მილებულია 2.700 კილოგრამი რძე, საერთო ნაწველია 2.160 ტონა. რამდენია ამ ციფრში მარიამ გოგოჭურის წვლილი? 99 ტონაზე მეტი.

ახალგაზრდა საწარმოს წარმატებას სჭედავდა კომპლექსის 94-კაციანი კოლექტივი, მათ შორის 35 მწველავი.

ლამარა დორეულიც ერთი იმათგანია, ვინც ამ წარმატებაში თავისი დიდი წვლილი შეიტანა. იგი მარიამთან ერთად კომპლექსში დაარსების პირველი დღიდან მოვიდა სამუშაოდ. ყველაზე რთულ უბანზე — სამშობიარო განყოფილებაში გაგზავნეს. კომპლექსის პირველი ხბო, შეიძლება ითქვას, პირველი მახარობელი, ლამარას ხელებმა მიიღო. ეს ერთი და სხვა ათასიო — თქვა მაშინ ქალმა და მართლაც, ექვსი წლის განმავლობაში მის მიერ მიღებული ნამატი ათასებად იქცა.

ახსოვს ლამარას, კომპლექსში, პირველ წლებში მცირე იყო ნამატი. 1977 წელს ყოველ 100 ფურზე მხოლოდ 59 ხბოს ინარჩუნებდნენ. თითქმის ნახევარი გაბერწდა. წყალში გადაიყარა ათასობით კილოგრამი რძე და ხორცი, ამ ფურების მოვლაზე გაწეული შრომა და საკვები.

გადიოდა დღეები. კომპლექსში ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ გაზრდილიყო ნამატის მიღების პროცენტი. და აი, 1982 წელს სარეკორდო ციფრს მიაღწიეს — ყოველ 100 ფურზე 100 ხბო მიიღეს. ეს მარტო რესპუბლიკაში კი არა, კავშირშიც სარეკორდო ციფრია. ამაყობს ლამარა, რომ ამ წარმატებაში მისი წვლილიც არის.

შარშან ლამარა დორეულის ხელში კომპლექსის 882 ფურმა გამოიარა. ამდენივე ხბო მიიღო, ათ დღემდე გამოზარდა და ჯანსაღი ჩააბარა ხბოების გამოსაზრდელ ბრიგადას. და განა მარტო ნამატის მიღებაში, მან სარეკორდო ციფრს მიაღწია წველადობაშიც. საშუალოდ ერთ ფურზე 4.694 კილოგრამი რძე ჩამოწველა.

მონდომებით შრომობს ლამარა დორეული და წარმატებაც თან ახლავს მის შრომას. სამჯერ გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. გახდა შრომის დიდების ორდენის კავალერი, რამდენჯერმე აირჩიეს რაიონული საბჭოს დეპუტატად... უყვართ, აფასებენ კომპლექსში ლამარას შრომას და იგი შრომითვე ათმაგად, ასმაგად იხდის მადლობას.

კომპლექსის მოწინავეთა გალერეას ამშვენებს მზია გიგაური, თიანელი ქალი, სამი წლის წინათ რომ ჩამოსახლდა სართიჭალაში და მალე მოწინავე მწველავის სახელი მოიპოვა. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილეც გახდა და მედლითაც დააჯილდოვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შრომაში იბადება



მწველავი მანანა არაბული

თითოეულ ფურზე სამი ათასიან ზღუდეს უკვე კარგახანია გადააბიჯა მზია გიგაურმა. მრავალჯერ გაიმარჯვა სოციალისტურ შეჯიბრებაში და მრავალი პრიზისა და დიპლომის მფლობელი გახდა. მისი მეუღლე, ალექსი ზვიადაური მის გვერდით შრომობს. მეცხოველეთა ამ ოჯახს დიდი წვლილი შეაქვს კომპლექსის წინსვლაში.

უფროსების გვერდით ხალისიანად შრომობს ახალგაზრდობა, ისინი, ვინც სკოლის მერხიდან მოვიდნენ ფერმაში და კომკავშირული ზრუნვა გამოუცხადეს მეცხოველეობას. კომპლექსის ხუთი ბრიგადიდან ერთს სწორედ ახალგაზრდულ-კომკავშირული ბრიგადა ჰქვია. ბრიგადაში რვა შრომისმოყვარე გოგონაა. საშუალო ასაკი 18-20 წელს არ აღემატება. მათ შორის მანანა არაბული ყველაზე უმცროსია. თიანეთის სკოლა-ინტერნატის რვა კლასის დამთავრების შემდეგ თავის და-ძმებთან ერთად სართიჭალის მერძევეობის კომპლექსში მოვიდა სამუშაოდ. შრომის დანყება არ გაჭირვებია, რადგან სითბო და სიყვარული დაახვედრა კომპლექსის კოლექტივმა. დახმარებისათვის უფროსების გამოწვდილმა ხელმა და დამრიგებლების წლობით დაგროვილმა გამოცდილებამ ფერმაში მისვლის პირველივე დღეებიდან დააკვალიანა მანანა და როცა 33 ფური ჩაიბარა, გამოცდილი მწველავივით დატრიალდა. პირველსავე წელს გადაჭარბებით შეასრულა გეგმა. თითოეულ ფურზე 2.496 კილოგრამის ნაცვლად 2.856 კილოგრამი რძე მიიღო, წლეულს იგი უკეთესი მაჩვენებლების მოსაპოვებლად იბრძვის. მისი ოჯახიდან შვიდნი შრომობენ კომპლექსში. აქედან ოთხი მწველავია, ერთი მწყემსი, ერთი მექანიკოსი, ერთიც საკვებშესამზადებელ საამქროში ტრიალებს. მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდისათვის დაუღალავად შრომობს არაბულების ოჯახი და თავისი წვლილი შეაქვს ქვეყნის სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის გაშლილ ლაშქრობაში.

ოლღა კოსალიოვა, მანანა ქასტოური, ეთერ ბურდული — აი არასრული სია იმ ახალგაზრდებისა, რომელთა ბრიგადამაც შარშან 459 ტონა რძე მიიღო და გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა, წლეულს კი 550 ტონა რძის მისაღებად იბრძვის და ამ წარმატებას ახალი წლის პირველ დღეებიდანვე უყრის საფუძველს.

სართიჭალის მერძევეობის კომპლექსის დათვალიერებისას, მისი ადამიანების გაცნობისას არ შეიძლება თვალში არ მოგხვდეთ მეცხოველეთა მაღალი შრომითი აქტიურობა, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება. როგორც მეურნეობაში გვითხრეს, წარმატებების მოპოვებაში დიდი როლი შეასრულა სოციალისტურმა შეჯიბრებამ. შრომითი მეტოქეობაა ყოველ ბრიგადას, ყოველ მწველავს შორის. ყოველთვიურად, კვარტალურად, წლიურად აჯამებენ სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს, გამარჯვებულებისთვის დაწესებულია პრიზები, ფასიანი და სამახსოვრო საჩუქრები, დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების საგზურები. ყოველივე ამის შედეგად, კომპლექსში არ ჰყავთ არცერთი ჩამორჩენილი ბრიგადა, მწველავი. თუ წინათ მუშახელი აკლდათ და ამის მიზეზად სოფლიდან სიშორე მიაჩნდათ (15 კილომეტრი), ახლა პირიქით, მუშაობის მსურველთა რიგი დგას. ის საკავშირო, რესპუბლიკური და რაიონული ჯილდოებიც, რომლებსაც მეურნეობა ფლობს, სწორედ ამ შრომითი აქტივობის წყალობით არის მოპოვებული.

ეს დღეს. მაგრამ კიდევ უკეთესი იქნება კომპლექსის ხვალინდელი დღე. მის ირგვლივ გახრიოკებულ მინდვრებში ახლა მანქანები გუგუნებენ, ბურღავენ მიწას, აწყობენ მილებს... სულ მალე აქ 450 ჰექტარი ფართობი მიიღებს სარწყავ წყალს. გაცოცხლდება მოუსავლიანი მიწა, დაითესება იონჯა, ცილებით შეივსება პირუტყვის საკვები ბალანსი და მკვეთრად გადიდდება წველადობა. ვარაუდობენ, რომ ამ მიწის ათვისებით 300-400 კილოგრამით გაიზრდება თითოეული ფურის წველადობა, ხოლო მომდევნო წელს — 1.000 კილოგრამით. კომპლექსში — ერთ ფურზე 4 ათას კილოგრამ რძეს მიიღებენ. ამ მიზნისათვის ახლა დაუღალავად შრომობენ წიკლაურები, არაბულები, დორეულები, გოგოჭურები, ზვიადაურები, გიგაურები.

შრომაში იბადება კომპლექსის მომავალი გამარჯვებაც.

**მედეა ცოტაძე**

# ვსარგებლობთ



სამკერვალო საამქრო

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის კრებაზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ თქვა: „რაც უფრო მაღალია სოციალისტური დისციპლინის დონე, მით უფრო ორგანიზებულად და შეთანხმებულად მიმდინარეობს მატერიალურ სიკეთეთა შექმნისა და განაწილების პროცესი, ამით კი სისხლხორცეულად არის დაინტერესებული თითოეული პატიოსანი ოჯახი. დავრწმუნდით, რომ დისციპლინა ეკონომიკური პოტენციალის გადიდების მძლავრი საშუალებაა.

აი რატომ არის, რომ ასეთი პრინციპულობით, ასეთი სიმტკიცით კვლავ ვაყენებთ ყველგან და ყველაფერში დისციპლინის, ორგანიზებულობისა და წესრიგის, კანონიერებისა და სამართლიანობის შესახებ, განსაკუთრებით მატერიალური დოვლათის განაწილებისას მაღალი მომთხოვნელობის შესახებ. ყოველივე ამას ახლა განსაკუთრებული, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება“.

* * *

პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკა ჩვენი მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთი მძლავრი არტერიაა. იგი წლების მანძილზე გამოშვებული პროდუქციის ხარისხითა და შრომის დისციპლინის ორგანიზებულობით გამოირჩევა. ამის ნათელი დადასტურება გახლავთ სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს და შესაბამისი დარგის პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის

ტ. იაკობაშვილის ფოტო

გარდამავალი წითელი დროშა, რომელსაც ოცი კვარტალის განმავლობაში ზედიზედ ფლობს ფაბრიკა. აქ წარმატებით განხორციელდა ფაბრიკის ერთერთი საამქროს მუშა-ქალთა ოთხსაათიან სამუშაო დღეზე გადაყვანა.

ფაბრიკაში 2800 მუშა-მოსამსახურეა, აქედან 188 მკერავი, — ერთი ბრიგადა, — ათი წელია ახალი გრაფიკით შრომობს. შეუჩვევლობს პირველად გაუჭირდათ მობილიზება, არცერთი წუთი უქმად არ უნდა გაეფლანგათ. ანაზღაურების პრინციპი ბრიგადული არჩიეს. როცა გვერდით მდგომი მუხლჩაუხრელად შრომობს, პატივი უნდა სცე მის გარჯას, არ უნდა ჩამორჩე, არ შეირცხვინო თავი. შეკერილი პროდუქციის ხარისხზე ბრიგადის ყველა წევრი ერთნაირად აგებს პასუხს. ასევე თანაბრად ინაწილებს გამომუშავებულ თანხას. სწორედ ამას ჰქვია ანაზღაურების ბრიგადული პრინციპი.

აი რა მოვისმინეთ ბრიგადის წევრებისაგან:

**ნინა ომაძე:** — თქვენ მუშურ სინდისზე შეგვეკითხეთ. ჩემი აზრით, ეს ერთ-ერთი მთავარი პირობაა მუშისთვის. თუ არ გაწუხებს შენი ხელიდან გამოსული პროდუქციის ხარისხი, თუ არ ფიქრობ როგორ მოირგებს და მოიხდენს მას მომხმარებელი, აბა ისე როგორ უნდა მიუჯდე საკერავ მანქანას! ამ პასუხისმგებლობის

# ყველა



მკერავი ზაირა გოგოლაძე (შუაში)



სამუშაო დღე დაიწყო. ჩამშვები ნათელა მჭედლიშვილი

გრძნობას, ჩემი გაგებით, მუშური სინდისი და საქმის სიყვარული ჰქვია. სიმართლე რომ გითხრათ, ვერ ვურიგდები უსწორმასწოროდ გავლებულ ნაკერსაც კი. მართალია, ჩვენთან მუშაობის კონვეიერული სისტემაა, მაგრამ თითოეულ ჩვენთაგანზე მაინც ბევრი რამ არის დამოკიდებული, საგამომჭრელო საამქროდან დეტალების მიხედვით გამოჭრილი პროდუქცია ჩვენს ხელში იღებს საბოლოო სახეს. ერთი სახელოს აკერებს, მეორე — კალთებს, მესამე — მხარს, მეოთხე — სამაჯურს, მეხუთე — ღილს. ზოგჯერ ესა თუ ის დეტალი შესწორებას და შელამაზებას მოითხოვს, რასაც უყოყმანოდ ასრულებენ ჩვენი მკერავი ქალები.

დიდი სიკეთე მოუტანა ჩემს ოჯახს ოთხსაათიანმა სამუშაო დღემ, განსაკუთრებით შვილების აღზრდაში შემეწყო ხელი და ეკონომიკურადაც დამეხმარა. მცირეწლოვანი შვილების დედისთვის 80-90 მანეთი არც თუ ისე მცირე შემოსავალია. სანამ ბავშვები პატარები მყავდნენ, მე და ჩემი მეუღლე კარგად ვუთანხმებდით ერთმანეთს სამუშაო საათებს. არც დავრდომილ დედამთილს აკლდა ჩემი ყურადღება. მეუღლე ვაგონშემკეთებელ ქარხანაში მუშაობს, უთენია გადის შინიდან, მე კი ოთხიდან რვა საათამდე ფაბრიკაში ვიმყოფები.

**ნათელა მჭედლიშვილი:** — არ გეგონოთ ვტყუოდე, ან რაიმეს ვაჭარბებდე. ამ პირობებში მუშაობა იმითაც არის ხელსაყრელი, რომ ყველა ის სიკეთე, რითაც ფაბრიკის თითოეული მუშა სარგებლობს (ეგრეთწოდებული სრულ განაკვეთიანი მუშა), არც ჩვენ გვაკლია. ჩვენს განკარგულებაშია პიონერთა ბანაკი წყნეთში, საბავშვო ბაგა-ბაღი ფაბრიკის ტერიტორიაზე, სამკურნალო კაბინეტ-ლაბორატორიებით, დიეტური სასადილოთი და ორსამსაწოლიანი საძინებელი ოთახებით აღჭურვილი პროფილაქტორიუმი, გვემსახურება ბუფეტი, სასადილო, საშხაპე, ბავშვთა ოთახი, კლუბი. ფაბრიკის ხელმძღვანელობა გვპირდება, მალე ქალთა სალონიც გექნებათო. ასბინიან საცხოვრებელ სახლს გვიშენებენ მუხიანში. ისე, როგორც ჩემმა თანამოსაქმე ქალებმა აღნიშნეს, მეც ყველანაირად შემეწყო ხელი საოჯახო საქმიანობაში, შვილების აღზრდაში. შვილს მუდამ სჭირდება მშობლის ხელი, მისი გამუდმებული ზრუნვა და ამაგი. ახლა შვილიშვილების აღზრდაში ვშველი შვილებს.

# სიკეთით



მანანა გიორგობიანი

**მანანა გიორგობიანი:** — ცხრამეტი წელი ახლახან შემისრულდა. თითქმის სკოლის მერხიდან მოვედი აქ. როცა შევიტყე და გულწრფელად ვიწამე, რომ ფაბრიკაში ყველა პირობაა შექმნილი სწავლის გასაგრძელებლად, მაშინვე გადავწყვიტე აქ დამეწყო ჩემი შრომითი საქმიანობა. ბევრი საქებარი სიტყვა მსმენია ადრინდელ დირექტორზე — ლუარა გვაჯაიაზე. ახლანდელი დირექტორი ნელი სვანიშვილი მარტო წარმოების მშრალი სტატისტიკით როდი იფარგლება, აინტერესებს თითოეული ჩვენთაგანის პირობები, განსაკუთრებით ყურადღებიანია ჩემნაირი ახალბედების მიმართ. ცდილობს შეგვაყვაროს სამუშაო უბანი. ქალბატონი ნელი ახალგაზრდების საუკეთესო დამრიგებელი და მრჩეველია, ყოველწლიურად რამდენიმე მოწინავე მუშას მაინც ისტუმრებს ლიმიტით უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად.

მიყვარს ჩემი საქმე, ჩემი საკერავი მანქანა. დრო მეტი მრჩება სამეცადინოდ, უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად ვემზადები, სტაჟი მიგროვდება. მინდა შრომაში თავი გამოვიჩინო, ვასახელო ჩემი კოლექტივი.

**ზაირა გოგოლაძე:** — თორმეტი წელია საამქროს ბრიგადირი ვარ. ჩვენს ფაბრიკაში სხვადასხვა სახის სოცშეჯიბრებაა დამკვიდრებული. საამქრო საამქროს ეჯიბრება, ბრიგადა — ბრიგადას, პიროვნება — პიროვნებას. პირადად მე შიდასაფაბრიკო სოცშეჯიბრებაში გამარჯვებულის მედალი მხვდა წილად.

ფაბრიკაში ოცდაექვსი დასახელების სხვადასხვა მზა პროდუქცია იკერება, აქედან ჩვენს საამქროში ყოველდღიურად 190 წყვილი სპეცტანსაცმელი მზადდება. ნედლეულს შეუფერხებლად გვაწვდიან ბაქოდან, მინსკიდან, გორლოვკიდან, ვიშნი მალაჩუკიდან, კრასნოდარიდან, ლენინგრადიდან, თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატიდან. ჩვენი ძალია უწუნო, საუკეთესო გემოვნებით შეკერილი ნაწარმი მივაწოდოთ მომხმარებელს. მხარში გვიდგას კვალიფიციური მხატვრებისგან დაკომპლექტებული სამხატვრო საბჭო. ამიტომაც არის, რომ ჩვენს ნაწარმზე დიდი მოთხოვნილებაა მოკავშირე რესპუბლიკებში, სადაც უმეტესი მათგანი ხარისხის ნიშნით იგზავნება.

ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისათვის ზრუნვა! — აი, როგორ ხორციელდება ეს მოთხოვნა თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში.

ნანული ბუკია

ევგენი ხარაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

# ქართველი მეცნიერი ასტრონომი ქალები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერული კვლევა ქალებისათვის უცხო საქმე არ გახლავთ. ეს ითქმის ასტრონომიის შესახებაც. ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ახალგაზრდა ქალს ადვილად მოსტაცებს თვალს, ცის იდუმალება ცნობისმოყვარეობას აღუძრავს და... პროფესიად ასტრონომიულ კვლევას აარჩევინებს.

ასტრონომიის ისტორიაში შემონახულია IV საუკუნის ბერძენი მათემატიკოსის თეონის ქალიშვილის ჰიპათიას სახელი; მას მიიჩნევენ მსოფლიოში პირველ ასტრონომ-ქალად. ცნობილია ფრანგი ქალის ჰორტენზია ლეპოტის წარმატებული მონაწილეობაც ჰალეის კომეტის 1758 წლის მორიგი გამოჩენის დროის წინასწარ გამოთვლაში.

ცნობილი ინგლისელი ასტრონომის უილიამ ჰერშელის დამ კაროლინა ჰერშელმა (XVII-XVIII სს) სახელი მოიხვეჭა რვა კომეტის და სხვა ობიექტების აღმოჩენით; იგი ლონდონის სამეფო ასტრონომიულ წევრადაც იქნა არჩეული.

რევოლუციამდელი რუსეთის მეცნიერების ისტორიასაც ახსოვს ასტრონომ და მათემატიკოს ქალთა სახელები (ს. კოვალევსკაია, ლ. ცერასკაია და სხვ).

საბჭოთა კავშირში ქალებს დიდი წვლილი შეაქვთ ასტრონომიული მეცნიერების განვითარებაში. კავშირის მთავარ უნივერსიტეტებში, სადაც ასტრონომებს ამზადებენ, ასტრონომ-სტუდენტთა ჯგუფებში საშუალოდ 30 პროცენტი ქალია.

საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის ოფიციალური ცნობით, რომელიც ამ კავშირის ასამბლეას მოხსენდა შარშან აგვისტოში, ამერიკის შეერთებულ შტატებში 1940 წელს პროფესიულ ასტრონომებს შორის ქალი 17 პროცენტი იყო, ახლა კი მხოლოდ 9 პროცენტია. განსაკუთრებით მცირეა ქალთა რაოდენობა მაღალი კვალიფიკაციის სწავლულ ასტრონომთა შორის. ამ ფაქტებს ქალთა და მამაკაცთა ხელფასებს შორის სხვაობის ზრდას მიაწერენ. ქალთა პროცენტული შემადგენლობის კლება შეიმჩნევა საფრანგეთშიაც. იმავე საანგარიშო ცნობით, პოლონეთში, სადაც ქალთა და მამაკაცთა უფლებები და ხელფასი განსხვავებული არ არის, ხუთ უნივერსიტეტში ასტრონომიული სპეციალობის სტუდენტთა ჯგუფებში 33 პროცენტი ქალია.



მარცხნიდან მარჯვნივ: ნელი კალანდაძე, დარეჯან ჯიპაშვილი, ნინო მაღალაშვილი, თამარ მეგრელიშვილი და რამზე ბართაია.

რა შეგვიძლია ვთქვათ საქართველოს ასტრონომ-ქალებზე? — მათ თავი გამოიჩინეს ჯერ დიდი სამამულო ომის წლებში, როცა ვაჟები თავდაცვის საქმემ მოითხოვა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში, რომელიც იმ დროს დაარსებიდან მხოლოდ 20-23 წელს ითვლიდა, ძირითადად, ქალები მუშაობდნენ.

ამჟამად ობსერვატორიაში მეცნიერი ქალების რამდენიმე თაობა მუშაობს. ამ მოკლე წერილით მკითხველებს გავაცნობთ უფროსი თაობის წარმომადგენელთ, რომელთაც ვეტერანებს ვუწოდებთ, თუმცა ისინი, ობსერვატორიის ერთგულნი, დღესაც ახალგაზრდული ხალისით და ენერგიით მოღვაწეობენ მთა ყანობილზე, აბასთუმნის მახლობლად.

დოცენტი ნინო მაღალაშვილი იკვლევს ე. წ. ბნელებად ცვალებად ვარსკვლავებს. ესენი ვარსკვლავთ წყვილებია, რომლებიც მათი საერთო სიმძიმის ცენტრის ირგვლივ მოიქცევიან, ერთი მეორის დაბნელებას იწვევენ. დაბნელებათა დაკვირვებით, ზუსტი ელექროფოტომეტრიული მეთოდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყენებით, მოხერხებულად შეისწავლება და შეფასდება ვარსკვლავთაზომები, მასები და სხვა მახასიათებელნი. ნინომ პირველმა საბჭოთა კავშირში ჩაუყარა საფუძველი ობსერვატორიაში ამ მნიშვნელოვან მიმართულებას.

მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე თამარ მეგრელიშვილი. მის მიერ დანერგილი მეთოდებით წარმატებით იკვლევს დედამიწის ზედა ატმოსფეროს და დედამიწის ახლო კოსმოსური სივრცის ფიზიკა-ქიმიურ თვისებებს ლაბორატორიაში, რომელსაც თვითონვე ხელმძღვანელობს.

მეცნიერებათა დოქტორმა, განყოფილების ხელმძღვანელმა რამზე ბართაიამ შექმნა ობსერვატორიაში და განავითარა ვარსკვლავთა სპექტრული კლასიფიკაციის დარგი, რომელშიაც აბასთუმნის ობსერვატორია წამყვანი გახდა საბჭოთა კავშირში. ამ მიმართულებას დიდი მნიშვნელობა და გამოყენება აქვს ჩვენი ვარსკვლავთ სისტემის — გალაქტიკის აგებულებისა და ევოლუციის შესწავლის თვალსაზრისით.

დოცენტი ნელი კალანდაძე შეისწავლის გალაქტიკაში ვარსკვლავთა და ვარსკვლავთშორისი ნივთიერების სივრცულ განაწილებას, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის მთავარი ასტრონომიული ობსერვატორიის ასტრონომებთან ნაყოფიერი თანამშრომლობის პირობებში.

სამეცნიერო ფოტოგრაფიისა და ელექტროგრაფიის ლაბორატორიას განაგებს დარეჯან ჭიპაშვილი, განათლებით — ქიმიკოსი. თანამედროვე ასტრონომიული ობსერვატორიებისათვის დამახასიათებელია ის, რომ იქ, ასტრონომებთან ერთად, მუშაობენ ფიზიკოსები, ქიმიკოსები, გეოფიზიკოსები, მათემატიკოსები, ინჟინრები. ეს თავისებურება ამ საუკუნემ მოიტანა.

საყურადღებოა, რომ აქ ჩამოთვლილმა ხუთმა ქალმა — დედამ აბასთუმნის ობსერვატორიის გარემოში, მთა ყანობილზე, აღზარდა 11 შვილი, რომელთაგან ერთმა მხატვრის პროფესია აირჩია, დანარჩენი ათი სანიმუშო მეცნიერ-მუშაკია — ზოგი ასტრონომი და ფიზიკოსი, ზოგი გეოფიზიკოსი, მათემატიკოსი და სხვ. ყველანი ობსერვატორიაში და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხვა ინსტიტუტებში წარმატებით მუშაობენ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასტრონომიის კათედრაზე ერთობ ნაყოფიერ მეცნიერულ და მეცნიერულ-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნინო მაღნარაძე. მისი მეცნიერული კვლევის მიმართულებაა ცის მექანიკა, ცის ბუნებრივი და ხელოვნური სხეულების მოძრაობის თვისებათა დადგენა სხვადასხვა ბუნებრივი თუ ხელოვნურად შექმნილი პირობისათვის.



# ოცნება მომავალზე

მალაზიაში შეიარა, ქსოვილები შეათვალიერა, საპალტოე „ბუკლე" ხელით გასინჯა. ფართო შუშებიანი კარიდან სინათლე უხვად ეცემოდა მუქ შოკოლადისფერ ნაჭერს. აქვე ეწყო საპალტოე „ახალგაზრდული", „ტვიდი", კაცის საშარვლე — მისი ნაშრომი და ნაამაგარი.

მას არავინ იცნობდა. აბა ვინ იცოდა, რომ ეს ქსოვილები, რომლებსაც ასე სიამოვნებით ყიდულობდნენ, ამ მომხიბლავი ქალიშვილის, მზია მიქაცაძის ნაქსოვი იყო.

ვერც წარმოიდგენდნენ, დახვეწილი გარეგნობის, ნაზ, ჰაეროვან გოგონას მაუდკამვოლის კომბინატის ხმაურიან დაზგებთან მუშად, რომელიც ყოველდღე 120 პროცენტით ასრულებს გეგმას.

21 წლისაა მზია. ძალიან ლამაზი სოფელია მისი ადგილის დედა. ჭიათურის რაიონში სოფელი ხრეითი რაჭის მთებთან ჩახუტებული ულამაზესი კუთხეა. მზია ქარხნის დაზგებიდან თვალდახუჭული ხედავს თავის დაბურულ ეზო-კარმიდამოს, ავსებულს შინაური ფრინველითა და საქონლით. იქნებ სჯობდა იქ, ფერმაში ყოფნა, 18 ძროხის შემობლავლება და კოლმეურნეობის ფერმის გოგოებთან სიცილი. ზოგჯერ ესეც ენატრება და ერთფეროვნებას აცოცხლებს მოგონება...

არა, სრულებითაც არ ნანობს მუშათა წრეში მოხვედრას. თბილისის პროფტექნიკური სასწავლებელი იმიტომ დაამთავრა, რომ მქსოველი გამოსულიყო. შრომაში ისე დაწინაურდა, რომ კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს. ქარხნის გარემო მშობლიური გახდა მისთვის. მალე უმცროსი და, იზოლდა ჩამოიყვანა ჭიათურიდან და თავის ბრიგადაში გვერდში ამოიყენა.

საინტერესოდ გადის დღეები. მართალია, დაზგას დაღლილები სტოვებენ, მაგრამ შინ მალე იკრებენ ფიზიკურ და სულიერ ძალას, ტოლ-მეგობრებში ხალისობენ, მომავალზე ოცნებობენ, ახალი იდეები ესახებათ, სწავლაც უნდათ, პროფესიული დაოსტატებაც...

წინ მთელი ცხოვრებაა!

# ქალთა საბჭოს ტრიბუნიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყვარლის ქალთა საბჭოს ტრიბუნიდან მათი ხმები ისმის, მრავალშვილიანი დედების ხმები, მედლებითა და ორდენებით მკერდდამშვენებულთა: თამარ კულატამაშვილის, ნათელა ქვაჭრელიშვილის, მედეა მიქელაშვილის და სხვათა მოწოდება.

— დღეს ერს მრავალშვილიანობა სჭირდება. სიცოცხლის საწყისი კი ჩვენა ვართ, ქალები. ჩვენ უნდა დავამკვიდროთ ქვეყნად სიცოცხლე, სილამაზე, სიკეთე, სიმრავლე, სიძლიერე. ჩვენს ხელთ არის ერის ბედი, ერის უკვდავება, ერის ბედნიერება.

სიტყვებით გამოსულმა ქალებმა მადლიერება გამოთქვეს იმისათვის, რომ მრავალშვილიანი დედებისათვის ასე ზრუნავს რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობა.

მრავალშვილიანი დედების ეს შეკრება, მათთვის საზეიმო ვითარებაში მედლების გადაცემა, ქალთა საბჭოს ინიციატივით მოეწყო.

მისასალმებელია, რომ რაიონში 700 მრავალშვილიანი დედაა. მათი ცხოვრების ავ-კარგი რაიონის ხელმძღვანელობისა და ქალთა საბჭოს ყურადღების ცენტრშია.

თამარ კულატამაშვილი ათი შვილის დედაა. ამ მრავალრიცხოვანი ოჯახის გაჭირვება თუ დალხინება ყვარლის რაიონის ქალთა საბჭოს თავმჯდომარემ ძაბული სილაგაძემ ისევე ზეპირად იცის, როგორც თავისი ოთხი შვილის ყოველდღიური ცხოვრება. ახლა თამარი ნაბოლარა ბიჭს ელოდება ჯარიდან, სახლი შეკეთებული და მოწესრიგებული უნდა დაახვედროს, საშენი მასალა სჭირდება. აბა ვინ დაეხმარება, ვინ იზრუნებს მისი ოჯახისათვის, თუ არა რაიონის ქალთა საბჭო, რომელიც აგრეთვე მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებს მედეას, ნათელას, ნინოს და სხვა დედებს...

ყვარლის რაიონის ქალთა საბჭოს თავმჯდომარის ძაბული სილაგაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის და მისი საბჭოს წევრები რესპუბლიკის ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებს არ ჩამორჩებიან და რაიონის ხელმძღვანელობის დახმარებითა და მხარდაჭერით წინა პლანზე წამოწეულ აქტუალურ საკითხებს გულმხურვალედ ეხმაურებიან.

შარშან, ქალთა შორის მუშაობის ყვარლის რაიონულმა საბჭომ, მრგვალი მაგიდა მოაწყო, სადაც საბჭოს წევრები, რაიონის მოწინავე ქალები, რაიონის ხელმძღვანელობა მოიწვია.

საკითხი მეტად პრობლემატური იყო — წარსულის მავნე ვადმონაშთებისა და დამახინჯებულ ზნე-ჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლაში რაიონის ქალთა ამოცანები.

ამ სფეროში გაწეულ მუშაობაზე ვრცლად ილაპარაკა საბჭოს თავმჯდომარემ ძაბული სილაგაძემ და შემდეგ სიტყვა რაიონის მოწინავე ქალებს გადასცა.

ქალებმა ერთხმად გაილაშქრეს ხალხმრავალი ქელეხებისა და ქორწილების წინააღმდეგ, რასაც ნამდვილად მატერიალური ზარალი მოსდევს და ჩრდილს აყენებს როგორც რაიონის, ისე რესპუბლიკის წინსვლას. მათ მიზნად დაისახეს აქტიურად ჩაებნენ ამ მანკიერების წინააღმდეგ ბრძოლაში და დაგმონ, რაც დასაგმობია.

რესპუბლიკაში ცნობილია სოფელ მთისძირელთა გმირული საქმეების ამბავი. შარშან მათ გეგმის გადამეტებით ყურძნის დიდი მოსავალი მოიწიეს. მთისძირის ზვრებში მთავრობის ჯილდოებით მკერდდამშვენებული ბევრი ცნობილი ქალი შრომობს, აქ არის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ქეთევან ასისტიშვილიც.

ამიტომ, ყურადღების ცენტრში დადგა როგორც მთისძირელთა, ასევე მთელი რაიონის ზვრებსა და მინდვრებში მომუშავე 7 ათასი ქალის ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების საკითხის მოწესრიგება. ყვარლის სახალხო დეპუტატთა მეჩვიდმეტე მოწვევის რაიონული საბჭოს მეორე სესიამ გამოიტანა ასეთი გადაწყვეტილება — „რაიონის ქალთა შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

ქალთა საბჭოს არ გამორჩა ეს მნიშვნელოვანი მოვლენა და მაშინვე გამოეხმაურა, გამსვლელი სესია მოაწყო სოფელ მთისძირში, სადაც ყველაზე მეტი მევენახე ქალი შრომობს. მანამდე მათი პირობები შეისწავლეს საბჭოს წევრებმა ექიმმა ლ. არჯევნიშვილმა და მასწავლებელმა ნ. ბიბილაშვილმა.

ქალთა საბჭოს თავმჯდომარე უკვე კარგად იცნობდა მთისძირელთა ცხოვრებასა და შრომის პირობებს, ამიტომ სხდომას დაწვრილებით მოახსენა: სოფელ მთისძირის მეურნეობის ხელმძღვანელობის, პარ-

ტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი სისტემატურად აუმჯობესებენ მევენახე ქალთა შრომის პირობებს. აქ დანერგილია მატერიალური და მორალური წახალისებანი. ყოველ კვარტალში ჯამდება შრომის შედეგები და გამარჯვებულთ ეძლევათ ფასიანი საჩუქრები და ფულადი ჯილდოები. ყოველწლიურად ახალ სკოლადამთავრებული გოგონები ეუფლებიან მყნობელის პროფესიას. აქაური ქალები გამონთავისუფლებული არიან იმ სამუშაოსაგან, სადაც შხამქიმიკატებია. იმ ქალებისათვის, რომლებიც მყნობაზე მუშაობენ, შეიძინეს ხელთათმანები და რეზინის მაღალყელიანი ფეხსაცმელი. და, რაც მთავარია, სოფელ მთისძირის ბაგა-ბაღებში კვება უფასოა. ქალები უფასოდ იღებენ აგრეთვე ცხელ სადილს მინდვრად მუშაობის დროს.

ყვარლის ქალთა საბჭო შეხვედრებს უწყობს რესპუბლიკის გამოჩენილ ქალებს.

ყვარლის ქალთა საბჭოში ახალი წლისა და რვა მარტის დღესასწაულებს რაიონის ხელმძღვანელობასთან და მოწინავე ქალებთან ერთად ხვდებიან.

ყვარლის ქალთა საბჭო ქალებისათვის, დედებისათვის ნამდვილად საიმედო დასაყრდენი და ერთგული ქომაგია.

ძაბული სილაგაძე ქალთა საბჭოს ტრიბუნიდან გავიცანით. მაგრამ, მათ შინაურ საქმეებში თუ ჩავიხედავთ, კიდევ უფრო გაგვიკვირდება მისი და მისი საბჭოს წევრების: გ. აღნიაშვილის, ე. კიკოლაშვილის, მ. მოლაშვილის და სხვათა მიერ გაწეული მუშაობის მასშტაბურობა. აქ არის მოზღვავებული საკითხების მრავალფეროვნება. ახლა ერთერთი საკითხთაგანი შემოწმების რიგშია — სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური პირობებისა და კვების მდგომარეობა.

ნამდვილად აქტუალური თემაა. რა გამოლევს საინტერესო თემებსა და საკითხებს, რა გამოლევს საინტერესო დღეებს, როცა ადამიანს შრომა უყვარს და საზოგადოებრივი საკუთართან გაუთანაბრებია.

მართალია, ძაბული სილაგაძე ქალთა საბჭოს ტრიბუნიდან გავიცანით, მაგრამ არის მედალის მეორე მხარეც: ის ამავე დროს დღევანდელობის შემოქმედი ხელმძღვანელია, ტკბილი ოჯახის დიასახლისი, ოთხი ხუთოსანი ბავშვის დედა, შესანიშნავი მეუღლე, ჩინებული რძალი...

ძაბული სილაგაძე ყვარლის რაისაბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარეა, რაიონული საბჭოს დეპუტატი, პარტიის ყვარლის რაიკომის სარევიზიო კომისიის წევრი და რაიონული საბჭოს აღმასკომის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი.

მისი ყოველი დღე მეტად საინტერესო, საქმით დატვირთული და ადამიანებისადმი, დედებისადმი ზრუნვით აღსავსეა.

ასეთია ქალთა საბჭოს ტრიბუნიდან გაცნობილი ენთუზიასტი და დიდი ქომაგი.

ირმა ჩოფიკაშვილი



# ექვთიმე თაყაიშვილი

ექვთიმე თაყაიშვილის ბიოგრაფია მდიდარი და ზედმიწევნით რომანტიკულია.

ბატონი ექვთიმე მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ივანე ჯავახიშვილის გვერდით იდგა, მათთან ერთად მოღვაწეობდა, დიდი წვლილი შეჰქონდა ქართველი ხალხის ეროვნული კულტურის ამაღლების, საქართველოს ისტორიული ცხოვრების წარმოჩენის, მისი განძეულის შეკრებისა და დაცვის დიდ მამულიშვილურ საქმეში. იგი გახლდათ საქართველოს ისტორიის ღრმა მცოდნე, არქეოლოგი, ქართული ეპიგრაფიკის მესაიდუმლე, პირველი მთხრელი არქეოლოგი, ძველი ქართული მწერლობის მაძიებელ-მკვლევარი, ხალხური სიტყვიერების დაუცხრომელი შემკრები, ფართო მასშტაბის ეთნოგრაფი, ცნობილი ნუმიზმატიკოსი. ჭეშმარიტად დიდ მამულიშვილს მადლიერმა ქართველმა ერმა დამსახურებულად მიაგო ყველა პატივი და დიდება. მის მშობლიურ სოფელ ლიხაურში, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მუზეუმი დააარსა. მახარაძეში ყოველწლიურად იმართება სახალხო დღესასწაული „ექვთიმეობა“, ხოლო ახლახან ლიხაურის სოფლის ცენტრი დაამშვენა, სამხატვრო აკადემიის დოცენტის, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის ანზორ გომართელისა და არქიტექტორ რობერტ გოგორიშვილის ერთობლივმა კომპოზიციამ „ექვთიმე თაყაიშვილი“.

ანზორ გომართელის ნამუშევრები, — ბოლნისსა და ხობში აღმართული შინმოუსვლელთა მემორიალები, „კონსტანტინე ლესელიძე“ მახარაძეში, „მანდილიანი ქალი“ ლიკანში, „მიხეილ ჯავახიშვილი“ მწერლის მშობლიურ მარნეულის რაიონის სოფელ წერაქვში, „ჩემი ქვეყანა“ მოსკოვში; მხატვრის სახელოსნოში „შემოდგომა“, „ოლეგ კოშევოი“, „რეზო ამაშუკელი“, „გურამ ხარაიძე“ და სხვა ნაწარმოებები კარგახანია ხიბლავს და იზიდავს მრავალრიცხოვანი მნახველის ყურადღებას.

თემა „თანამედროვე ფორმა და მისი ძიება“ იყო ანზორ გომართელის პოლონეთში როსტსლავის მხატვართა კავშირის მიწვევის მიზანი, საიდანაც გამარჯვებულის დიპლომით დაბრუნდა. დიპლომი „დაუმთავრებელი ფანტაზიის“ დიდი ოსტატობით შესრულებისათვის მიაკუთვნეს, იგი სისტემატური მონაწილეა როგორც საქართველოში, ასევე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში მოწყობილი გამოფენებისა.

ამჟამად ანზორ გომართელი მთელი გატაცებითა და რუდუნებით მუშაობს ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს ქანდაკებაზე, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავის გამო მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედში დაიდგმება ბინას.

გთავაზობთ „ექვთიმე თაყაიშვილის“ ფერად სლაიდს.

ნ. არჩვაძე

# ნედლი სალამურები



* * *

მიყიდე ია,
რა იქნება, ია, მიყიდე,
რომ გაზაფხულის ამოსუნთქვას თითი შევახო,
რომ ჩემთან ვიგრძნო გაზაფხულის ლურჯი ცის კიდე,
ია მიყიდე,
რა იქნება ია მიყიდე!

## თბილისს

მომეფერე, მე შვილი ვარ შენი.
პაწაწინა, ვარდისფერი ბავშვი.
მიციმციმებს სიხარულის ცრემლი
დიდრონსა და მოთაფლისფრო თვალში.

მომეფერე, მე სუნთქვა ვარ შენი,
გაზაფხულის ენძელების ფერი.
და ვით ყვავილს გაღიმება შვენის
ისე მშვენის მე ბავშვობა შენი.

მომეფერე, ჩამიკარი გულში.
მე ხომ შენში დავაბიჯებ ლაღად,
ჩემი ქუჩით, ნაცნობით და ურჩით,
კიდით-კიდით, პროსპექტით და მთა-მთა.

მომეფერე, სანამ რამეს ვიგრძნობ.
სანამ ჩემს მხრებს მოესხმება დაღლა.
სანამ კიდე შემიძლია ვიღვწო,
და სანამდე ცოცხალი ვარ, — ახლა!

მომეფერე, მე შვილი ვარ შენი,
პაწაწინა, ვარდისფერი ბავშვი.
და სევდისგან გამოთლილი ცრემლი,
ვარსკვლავივით მიკიაფებს თვალში.
მომეფერე, მე შვილი ვარ, — შენი!

* * *

აჩრდილი ჩემი ორეულისა
თან დამდევს მუდამ.
თვალს რომ შევავლებ,
რაღაცას მთხოვს, რაღაცა უნდა.

მე გავიზარდე.
აჩრდილი კვლავ დამყვება უკან.
...იქნებ იმასაც გაზრდა სურდა,
სიმაღლე სურდა?!

* * *

ერთხელ ქუჩაში კაცი ვნახე, მინას ჰკოცნიდა
ის იყო ერთ-ერთ ულამაზეს, ცნობილ სოფლიდან.
მომენატრაო უსაშველოდ ჩემი მამული
და მიწის კოცნით გამოხატა მან სიყვარული.

## მარის

სადა ხარ ახლა, როდესაც გარეთ,
წვიმს შემოდგომის პირველი წვიმა.
როდესაც სცენარს ხეები დგამენ
და თეთრ მუსიკად ფოთლები ცვივა.

როცა ტაძარი აინთო ცეცხლად,
როცა აიმღერა უფრორე მტკვარი,
როცა წკარუნებს სიმები ერთხმად,
სადა ხარ, მარი!

* * *

თოვდა!
და იყო ღამე!
იისფერი ღამე, თეთრი სამოსით!
მე ჩუმად ვიჯექი სავარძელში და
თვალებდახუჭული ვისმენდი შოპენს.
ციოდა გარეთ.
შეყვარებული ხეები ერთმანეთს ეკვროდნენ
სითეთრით.
ცვიოდნენ ფანტელები.
წუწუნებდა ღრუბლებში მთვარე.
იწვოდა სანთლები.
გუნდებს ესროდნენ ქუჩაში გამვლელ ქალებს.
და სიყვარული, ვით ტკბილი მუსიკა
გალობდა ტაძარში.
თრთოლვით და ფარფატით კი
გარეთ დადიოდა ღამე.

* * *

ჩამიქინდრავს თავი დატუქსულივით
და მოველი წვიმა როდის გადიარს.
გაჭაღარდა ბროწეულის ყვავილი,
ცა, წვიმებმა თეთრ წინწკლებად აქცია.

ცრემლი გორავს მოქანავე ქვებს შორის.
და ირხევა იასამნის მტევანიც,
გაიცრიცა აკაციის ფოთოლი
გადაიღოს, გადაიღოს ნეტავი.

შუბლით მინას მივყრდნობივარ დაორთქლილს
და სევდიანს რითი გამიხარია?
ჩავიხუტე ფერგასულნი ყვავილნი
ჩავიხუტე, ჩავიხუტე ძალიან.

ზღვის ფრინველი ჩემს ფანჯარას
ფრთებს ურტყამს
და მიჩვენებს ფერგადასულ აკლდამებს,
იცის, იცის გაწუწულმა თოლიამ,
რომ ეს წვიმა მაწამებს.
ჩამიქინდრავს თავი დატუქსულივით,
და მოველი, წვიმა როდის გადიარს.

ლეილა ბერძენიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო ნაკაშიძე

# ლევ ტოლსტოის ახლოს

(მოგონების ერთი თავი)

...რამდენიმე დღის შემდეგ, საღამოთი, გვესტუმრა თვით ლევ ნიკოლოზის ძე. ვცხოვრობდით ოსტოჟენკაზე, ერთ პატარა ოთახში. კარი გაიღო, მოულოდნელად შემოვიდა და მხიარულად მოგვესალმა. ძალიან გაგვიხარდა.

ჩვენს პატარა გოგონას ეძინა, მაშინვე გადავწიე ფარდა და გავაღვიძე.

— აბა, გაიღვიძე, მაკა, ვინ მოვიდა?

ტოლსტოის გაუკვირდა:

— ქართულად ლაპარაკობს, აბა, დაელაპარაკეთ კიდევ!

ბავშვმა გაიღვიძა, გაიცინა და მითხრა:

—ვიცანი, ძია ლევ ტოლსტოია, სურათი რომ გვაქვს.

ტოლსტოის გაეცინა, მოეფერა ბავშვს, დაჯდა მასთან და დიდხანს ეფერებოდა. ამ ფერებაში ბავშვს ისევ ჩაეძინა. ტოლსტოი ჩვენსკენ გადმოჯდა.

— წარმოიდგინეთ, ქართული ლაპარაკი არ გამიგონია და მეუცხოება — გვითხრა მან, — 1852 წ. თბილისში ვცხოვრობდი, სამხედრო სასწავლებელი იქ დავამთავრე, მხოლოდ ერთ ქართველს ვიცნობდი, ახლა გვარიც აღარ მახსოვს. სულ არ მაინტერესებდა მაშინ ადგილობრივი ცხოვრება. ჩვენი მთავრობა სულ იმის ცდაში იყო და არის, რომ როგორმე დააშოროს ხალხები ერთმანეთს და შეაძულოს. მე რომ ვიყავი, თბილისის ქუჩებში ჩადრიანი ქალები დადიოდნენ და მეგონა, ჩადრებით ქართველი ქალები დადიან-მეთქი, ახლა კი, თურმე, ისინი უმაღლეს კურსებზეც დაიარებიან. მართალი რომ თქვას კაცმა, ჩადრს კარგი მხარეცა აქვს: მალავს ქალის აგებულობის იმ ნაწილებს, რასაც ახლანდელი ქალების ტანისამოსი რელიეფურად ასახავს, და აღელვებს და აღიზიანებს კაცის ვნებას. ძველად, როდესაც ადამიანი უფრო ტლანქი იყო, ჩადრი უთუოდ აუცილებლად საჭირო იქნებოდა.

— ჩადრი უთუოდ ეჭვიანმა კაცმა გამოიგონა თავის ცოლისთვის, — თქვა ილიკომ.

ტოლსტოიმ გულიანად გაიცინა.

— ეგ კი სიმართლე იქნება. კაცს ყოველთვის ეშინია, მის ცოლს არ შეხედოს სხვა კაცმა ვნებიანი თვალებით. მაგრამ თვითონ სხვის ცოლს კი უყურებს ხარბად. დაღესტნის ომში, — განაგრძო მან, —ქართველები იყვნენ, ზოგს ვიცნობდი კიდევაც, მაგრამ მაშინ უფრო დაღესტნელი მეომრების სულისკვეთება მაინტერესებდა. მიკვირდა, რა აძლევდა ძალას და აბედვინებდა ამ ერთ მუჭა ხალხს, რომ რუსის უამრავ შეიარაღებულ ჯარს შებრძოლებოდა. შარშან ალექსანდრე ნიკიფორეს ძე დუნაევის ახალგაზრდა მეგობრებმა, სტუდენტებმა, ბევრი საინტერესო რამ მიამბეს საქართველოს შესახებ, დიდი პატრიოტები კი არიან! ბევრი საინტერესო რამ გავიგე; მაგალითად პომპეუსის შემოსევა საქართველოში და ზოგიერთი ლეგენდა.

— ისტორიაც და ლიტერატურაც საინტერესო გვაქვს, — უთხრა ილიკომ, — ნამეტნავად ლიტერატურა.

— აბა, მაჩვენეთ ერთი ქართული წიგნი.

ილიკოს მუდამ თან დაჰქონდა ჯიბით „ვეფხისტყაოსნის“ სახალხო გამოცემა. მაშინვე ამოიღო, წაუკითხა და გადაუთარგმნა ზოგიერთი ადგილი. ტოლსტოი დიდი ყურადღებით უსმენდა. მოეწონა, „ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?... „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა“. მოეწონა აგრეთვე: „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“. რელიგიური შეხედულება არისო. რაც შეეხება „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“, მან თქვა:

— რასაკვირველია, ღვთის წინაშე ყველა ერთია, ქალიც და კაციც, რომლებიც უნდა ემსახურებოდნენ ღვთიური კანონების შესრულებას ცხოვრებაში. — გაიღიმა და დაუმატა: —ოღონდ არ მესმის, რისთვის უნდა ცდილობდნენ ქალები გახდნენ პოლიციელებად, მსაჯულებად და ჯარისკაცებად. რა საჭიროა ამნაირი თანასწორუფლებიანობა, როდესაც ამ უფლებებზე თვითონ კაცებმაც ხელი უნდა აიღონ?

ილიკომ აღტაცებით ილაპარაკა „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ღირსების შესახებ. ტოლსტოი ერთხანს დუმდა და შემდეგ თქვა:

— ძალიან საინტერესო წიგნია, დიდი ცდუნებაა ჩემთვის გავეცნო, თუ მოვასწარი. ილია პეტროვიჩ, ახლა კი ბევრი რამ დამრჩა სათქმელი ისეთი, რაც უთუოდ უნდა ვთქვა, და ამისთანა ცდუნებისაგან, როგორც მხატვრული ნაწარმოების საკითხებია თავი უნდა შევიკავო.

ტოლსტოი იმ დროს, გარდა დუხობორების გასამგზავრებლად ზრუნვისა, იმათთან და მათ შესახებ მეგობრებსა და ნაცნობებთან მიწერ-მოწერისა, აგროვებდა აგრეთვე სახსრებს მათთვის. წერდა დიდ მოთხრობას — „ჰაჯი მურატს“ და ფიქრობდა „Отец Сергии-ს“ დასრულებას.

ტოლსტოი ძალიან წუხდა ამ საღამოს. ამბობდა:

— ჩემი შვილი, ანდრიუშა, სუსტი ნებისყოფის კაცია. არავითარი ლაგამი არა აქვს ამოდებული. ამგვარი ხალხი ბატონკაცურ, უქმ ცხოვრებას ატარებს: ჭამენ ტკბილ, მსუქან საჭმელებს, სძინავთ რამდენიც სურთ და არ იციან, რას მოახმარონ ენერგია. მათ ჰგონიათ, რომ მთელი ქვეყანა მათთვის არის გაჩენილი: ქალები, ცხენები, ღვინო, ბანქო და, რასაკვირველია, ყოველნაირი дурь лезет в голову.

...ტოლსტოი იმ საღამოს კარგა გვიანობამდის იჯდა ჩვენთან და როდესაც მიდიოდა, შეხედა მძინარე ბავშვს, გაიღიმა და მითხრა:

— როდესაც ბავშვს სძინავს, არასოდეს არ უნდა გააღვიძოთ.

მე ვერაფერი ვთქვი, მაგრამ ილიკომ ჩემს მაგიერ უპასუხა:

— როდესაც ლევ ტოლსტოი მოვა სტუმრად, მაშინ კი შეიძლება გაღვიძება, ლევ ნიკოლაევიჩ! — ყველას გაეცინა.

ნიკოლაევმა და ილიკომ გააცილეს ტოლსტოი.

თუ არა სიცოცხლის სიყვარულსა და გონებისმიერ თვალთახედვას, სხვას რას უნდა მიეწეროს, რომ საუკუნის კბილა ქალს, იყალთოელ სონა შაშვიაშვილს დღემდე შერჩენია ნათელი იუმორისა და საღი აზროვნების, ფიქრისა და გარჯის უნარი! ეს იმ დროს, როცა არცერთ ქალზე ნაკლები არ უშრომია თავის დროზე და არცერთ ქალზე ნაკლები ტვირთი არ უზიდავს ცხოვრებაში.

მას შემდეგ, რაც იაგორა შაშვიაშვილს მისთხოვდა (მაშინ 21 წლისა იყო), მეუღლის ბედის გარდა, მისი ხელობაც გაიზიარა. ორიოდ წელიწადში მშვენიერი მეთუნე გახდა.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა საკუთარი შრომით უღელი ხარ-კამეჩი შეიძინა და ქალის მეთუნეობა ვის გაუგიაო, მაგრამ გინდა წკრიალაანი, გინდა იმერლიაანთ გიო და გინდაც ბერძენაანთ ნიკა გასჯიბრებოდა მერცხალაანთ ქალს (ასე ეძახდნენ ახალგაზრდობაში სონა შაშვიაშვილს) ქაშანური (ქიქური) ჭურჭლის დამზადებაში! „ახლაც მოვჭრი ჭურჭელს, თიხა რომ მქონდეს მზადო" — მითხრა ერთხელ და თითქოს გული დასწყდა, რომ საკუთარი თვალით ვერ ვიხილე, — რა ქალი იყო სონა ბებო!" მაგრამ მისი ხნის ქალს მართალი კი არა, ტყუილიც დაეჯერება. ის კი ისე გატაცებითა და დაწვრილებით მიხსნიდა თიხის დამუშავების ხალხურ ტექნოლოგიას, რომ ერთი წუთით ეჭვიც შემეპარა, ნუთუ მართლა ასი წლისაა მეთქი.

ნაქს ვხმარობდით. სალებავს თალარში (პირგანიერი ჭურჭელია, მომცრო ქვევრის მაგვარი) ჩავასხამდი და მერე კალმით ვიწყებდი ხატვას. კალამს, აი, ეგეთ ჯოხს ვეძახდით, ელიმება და მზეზე გასაშრობად დაყრილ ლობიოს პარკს იღებს ხელში (ალბათ გუნებაში თუ შეადარა თავისი კალამი დღევანდელ კალმებს) — და განაგრძობს თხრობას, — მოხატულ ჭურჭელს შევდგამდი ქურაში გამოსაწვავად და მეორე დღეს გამოვიღებდი თუ არა, ზოგჯერ იქვე მეყიდებოდა. ქურაში 2 ათასი ჯამი, 100 ბადია და ამდენივე ხელადა ეტეოდა. მერე ეზო-ყურე, ძროხა, ქათამი თუ ბოსტან-ვენახი მქონდა მისახედავი, ოთხი შვილი მყავდა საპატრონებელი — თქვა და კეთილად გაეღიმა. ალბათ შემა-

# ასი წელი—დიდი ტვირთი...



იაგორა, ბედნიერი და ამაყი, თიანეთის, თუშეთის, პანკისის ხეობის, გავაზისა და წნეთის ძნელ გზას ციმ-ციმ ლევდა, ხმის ამოუღებლად ეყიდებოდა ცოლის ნახელავი. შინ დაბრუნებულს კი ოთხი შვილი და ერთგული მეუღლე ელოდნენ. ელოდა აგიზგიზებული ქურა და ახლადგამომწვარი ბადიები თუ სინები, ჯამები თუ კოკები, სურები თუ ქილები, საწველე თუ ჩარექა და... ბედნიერი იყო კაცი! კაი ვაჟკაცივით ედგა მხარში ცოლი, რომელმაც მისი მამა-პაპის საქმე ჭეშმარიტი ოსტატის სინდისიერებით შეიყვარა და გაითავისა, ორი ვაჟი და ორი ქალი აჩუქა და მთელს იყალთოში თითით საჩვენებელი ოჯახი შეუქმნა.

— იყალთოს აკადემიის ეზოდან ურმით ჩამოგვქონდა აყალო მიწა, რომელსაც საგანგებოდ მოსუფთავებულ ადგილზე ვყრიდით გასაშრობად. მერე გადავარჩევდით, გავცრიდით, ხვინჭი და კენჭი არ შეჰყოლოდა. დავალბობდით და როგორც საწნეხელში ყურძენს, ისე ვზელდით. მოზელილ თიხას ფილებად ავჭრიდით და სარდაფში ვალაგებდით. მერე დავსხდებოდით ჩარხზე და მარცხენა ფეხით რომ ჩარხსა ვცემდით, მარჯვენა ხელით ჭურჭელი ამოგვყავდა. თბილისში ერთი დუქანი იყო. კალა რომ არსად იშოვებოდა, იქ მაინც იყო. ჰო და, იაგორას თითო ამოტანაზე 2 ფუთი შუშა და 7 გირვანქა კალა ამოჰქონდა იქიდან. კალას ჩვენვე ვწვავდით, შუშას კი ნისქვილში ვფქვავდით. მოსახატავად კი წერტყო, ამ დროების ბალღს თუ როგორ დამეძაბა სახე გაკვირვებისგან.

ერთხელ ისიც მითხრა, მაჭანკალი რომ მოვიდა, თითქოს არ მესიამოვნა, მე უფრო უკეთესი მინდოდა ქმრადო, მაგრამ მირჩიეს, მაგას ოქროს ხელი აქვსო.

ფული თავისთვის იყოს და, — იმ განათლებული კაცის სახება რომ პატიოსნების, კაცურ-კაცობისა და სიკეთის საგალობლად აღერებულა შვილების გულში, ამას უხმოდ, უსიტყვოდ, ქალური გუმანით ხვდება და გრძნობს სონა შაშვიაშვილი და მეც თვალებით მებაასება: ტყუილა ალბათ არც მე მიცხოვრია ამდენი, მეც ხომ სინდისიერად ვზიდე ქალის ტვირთიო.

მზია ჭიჭიაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მანანა ბობოხიძე

„ფერებით მოზეიმე საგამოფენო დარბაზი მშვენიერების სამყაროდ ქცეულა“...

„მხატვარი, რომელიც ადიდებს სამყაროს მშვენიერებას“...

„პალიტრა, ცისარტყელისებრ ელვარე...“

„ფერწერით ამეტყველებული პოეზია...“.

და კიდევ მრავალი შექება თუ მადლობა წაწერილა შთაბეჭდილებათა წიგნებში მხატვარ მანანა ბობოხიძის ნამუშევრების გამოფენისას. პრესა ყოველთვის სიამოვნებით ეხმაურებოდა ამ გამოფენებს, მოგვითხრობდა ფაქიზი ხელით შექმნილ სურათებზე, პორტრეტებზე, პეიზაჟებზე, კომპოზიციებზე, წარმოსახვებითა და მზიანი განწყობილებით რომ ავსებს ადამიანს... ერთხმად იქნა აღნიშნული ისიც, რომ პოეტურ ოჯახში აღზრდილი მხატვრისათვის, დიახაც რომ პოეზიაა თავიდათავი: პოეტური ჰაეროვნება, პოეტური ხილვები, პოეტური ზეიმი ფერებისა, განწყობილებისა, ეს განსაკუთრებით იგრძნობა პეიზაჟებში: ქარით ალივლივებული ალვები, მსუბუქი ღრუბელი მოელვარე ცისა, კლდეზე გადმომდგარი მარტოხე, ცრიატი დილა და შუადღის სავსება, მზე და მოლოდინი შხაპუნა წვიმისა, ახავერდებული კორდები... ყველგან, ყველაფერში ხმიანობა მუსიკისა, თითქოს შორიდან მოტანილი უნაზესი აკორდისა. ეს ხმა თუ აკორდი, აუცილებლად გახლავთ თან, აუცილებლად გავსებთ და გაკეთილშობილებთ, როდესაც მანანას ნამუშევრებს ათვალიერებთ, მისსავე ბინაში, ზაჰესთან ახლოს, — თითქოს მისგანვე შექმნილი პეიზაჟების თანამონაწილე ხდებით, ღია აივნიდან ერწყმით ზემო ავჭალისა და მცხეთის მიდამოების ფეროვნებას. ეს ყოველი, მთლიანობაში განიჭებს იმ ესთეტურ ტკბობას, რაიც ხელოვნების დანიშნულებაა. საგამოფენო დარბაზში კი პეიზაჟები თითქოს თავმდაბლურად იხევენ უკან, რათა ადგილი დაუთმონ სხვას, — უფრო ახმაურებულს, უფრო პირსავსეს — პორტრეტებს. დიახ, მანანა ბობოხიძის მიერ შექმნილი პორტრეტები მეტყველებენ, ხმაურობენ — მშვიდად, აღფრთოვანებით, მგზნებარებით, სევდით, მდუმარებით, ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათებით, განწყობილებით. ისინი ჯერ თვალს გტაცებენ, მერე კი დაჟინებით მოითხოვენ მიხვიდე მათთან, ჩასწვდე, გაიგო, მიუხვდე ან ვერ მიუხვდე და ამოცანად დაგრჩნენ, დაგაინტერესონ... აგერ ლადო ასათიანი, თავისი განუშორებელი ყაყაჩოთი, სერგეი ესენინი, აღმოსავლური მოტივების ზმანებებში ჩაძირული, ზურაბ კიკალეიშვილი, სცენაზე თითქოს თავისი განსახიერებული იაგოს უარმყოფელი, მეოცნებე ტერენტი გრანელი, ქარში შეციებული სახით, მაიაკოვსკი ძაღლით, მაიკო ორბელიანი, გაცრუებული ოცნებების სევდიანი დაღით, ქეთევან ირემაძის ნუშის თვალები, შოთა ნიშნიანიძე, მირზა გელოვანი, მერი შერვაშიძე, ინოლა გურგულია, ჯილდა დათუაშვილი, რამაზ ჩხიკვაძე, მამის (კალე ბობოხიძის) პორტრეტი, რობერტ სტურუა, ვახტანგ ხურციძე და სხვანი; ყველა ისინი, ვინც ჩვენს ცხოვრებას ალამაზებდნენ და დღესაც ალამაზებენ თავიანთი კაცური კაცობით შემოქმედებითა და მოღვაწეობით. ამდენად, მანანა ბობოხიძე ჩვენი თანამედროვეა, თავის შექმნილ სურათოვნებაში ცხოვრობს და თავის გმირთა საფიქრალით ფიქრობს. მან, როგორც მხატვარმა, ამ პორტრეტებში წარმოაჩინა ოდნავ განსხვავებული, თავისი თვალით ხილული სამყარო გმირებისა, მოღვაწეებისა, პოეტებისა, სცენის ოსტატებისა. ყველას საკუთარი ფეროვნება მიანიჭა, ყაყაჩოს ბრიალა ფერით დაწყებული ნაზი, ცისფერი ფერით გათავებული. იგი თამამად იყენებს სამყაროს ხილულ შვიდფეროვნებას. და ამ კალეიდოსკოპში თამამად არჩევს გმირის ხასიათის შესაფერის ფერს. განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ მანანას დედის, ადრე წასული პოეტი ქალის — ვერა შუბლაძის პორტრეტი, ნუშის ყვავილთა სინატიფე რომ გადაჰკრავს. ეს მოგონებაა დედაზე, სევდიანი და რაღაც არაამქვეყნიური... დიდი ლადო გუდიაშვილი ამბობდა: „მანანა ბობოხიძის შემოქმედება გამოირჩევა ინდივიდუალობით, ხელწერის ეროვნული თავისებურებებით, ნატიფი მხატვრული გემოვნებით, მგზნებარე, ცეცხლოვანი ტემპერამენტით“. და ჩვენც ვეთანხმებით აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის ნათქვამს: „უკეთეს შეფასებას ფერმწერალი ვერ ინატრებდა!“

ნაზი კილასონია





● კალე ბოგოსიძე

● ავტოპორტრეტი

● მირზა გელოვანი

● სალამო









● ვერა შუგლაძე



● ქეთევან ირემაძე



● სახლი, რომელშიც ვცხოვრობ



ეროვნული
ბიბლიოთეკა







- ქართველი ქალის პორტრეტი
- გიორგი შავგულიძე
- პეიზაჟი

ნანა კანდელაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საოცნებო ქალი

ნოველა

იქნებ ქმარ-შვილით დამშვენებული გათხოვილი ქალისათვის ორმოცი წელი არაფერი ბედენაა, მაგრამ მარტოხელასათვის, შინაბერასათვის ეს ორმოცი, — სათქმელადაც ბევრია. ალბათ ამიტომაც სხვა დროს სიხარულით რომ მოელოდა დაბადების დღის გათენებას მარიკო, ახლა მისი გახსენებაც კი შიშის ჟრუანტელს ჰგვრიდა.

ყველას უკვირდა მარიკოს გაუთხოვრობა.ქალად ქალი ხომ მშვენიერი შესახედაობისა იყო, ახლა რა კეთილი, რა ყურადღებიანი, როგორი დიასახლისი, ამასთან მართლა კარგი მომღერალი! ჭიქა არ გაწკარუნდებოდა მეზობელთან, ნათესავთან, მეგობართან, სტუმრად არ მიეპატიჟათ მარიკო თავისი გიტარით სუფრის დასამშვენებლად, ქეიფში ლაზათის შესჭატებლად. მოგეცათ ლხენა, მარიკოს უყვარდა სიმღერა და უარი არავისთვის უთქვამს. ქვეყნის გოგოები გაბედნიერა მისმა სიმღერამ, თვითონ მარიკოსათვის კი არ იქნა და არ გამოჩნდა საბედო. დღეს-ხვალეში გარბოდა დრო, წელი-წელს ემატებოდა, აგერ, ორმოცმაც მოუკაკუნა, მის მარტოობას კი არაფერი ეშველა.

ასე არასდროს შეუწუხებია მარიკო გაუთხოვრობას. შიშით ქუჩაში ვერ გასულიყო, სამსახურშიც ერიდებოდა თანამშრომლებთან შეხვედრა, ყველა მხრიდან ერთი და იგივე ესმოდა:

— კიდევ არ გათხოვილხარ?!

— აფსუს, რა ქალი ცდები...

განა მართლა არ ჰყავდა მარიკოს მთხოვნელი, მაგრამ სულ ვილაცის მოლოდინში იყო, რატომღაც ფეხს ითრევდა, არ ჩქარობდა... ახლა ძალიანაც ნანობდა ამას, მაგრამ იცოდა, დაკარგულს ველარაფრით აანაზღაურებდა.

— წავიდა, გაფრინდა წლები... — წაიდუდუნა უიმედოდ მარიკომ და უცებ გადაწყვიტა, დაბადების დღეს გასცლოდა თბილისს, რომ არ მოესმინა საყვედური, არ ენახა ახლობლების თანაგრძნობით სავსე გამოხედვა.

მივიდა უფროსთან, დაუწერა განცხადება, რაღაც სულ უმნიშვნელო რამ მოიმიზეზა, უხელფასო შვებულება სთხოვა, დასვენება მჭირდებაო, უფროსი კარგი ადამიანი იყო, მიუხვდა ქალსა თანხმობა წაუწერა განცადებაზე. იყიდა მარიკომ ბილეთი და ბათუმში გაემგზავრა. იფიქრა იქ სადმე, ზღვასთან ახლოს ოთახს დავიქირავებ და ჩემთვის, სულ მარტო შევეგებები დაბადების დღესო.

ჩავიდა ბათუმში, აიარა და ჩაიარა ბარათაშვილის ქუჩაზე. ხან ერთ სახლს შეხედა, ხან მეორეს, მაგრამ ვერავისთან გაბედა კარზე მიკაკუნება. ისევ სასტუმროსაკენ დააპირა წასვლა. ამ დროს ტაქსი გაჩერდა, ხანში შესული მანდილოსანი ჩამოვიდა მანქანიდან, ხორაგით სავსე ორი კალათა გადმოიტანა და მანქანა რომ წავიდა, შეწუხებული დააჩერდა თავის მძიმე ტვირთს.

— თუ ნებას მომცემთ, მოგეხმარებით, — შესთავაზა მარიკომ.

— თქვენი ჭირიმე, თქვენ გაიხარეთ, — მადლობის ნიშნად გაიბადრა ქალი, — ბაზარში იშვიათად მივდივარ, მაგრამ თუ კი წავალ, ასე დავიტვირთები ხოლმე. ტაქსით მოვედი, შოფერი ჩემსავით ხანშიშესული იყო, მომერიდა შეწუხება... დაილოცოს ახალგაზრდობა, გმადლობთ.

„ახალგაზრდაო? — გულში ჩაეცინა მარიკოს, მაგრამ ესიამოვნა კიდეც ამის გაგონება. — ჩანს გარეგნობით ჯერ არ მეტყობა, ორმოცი წლისა რომ ვხდები..."

— წავალ ახლა მე. — უთხრა მორიდებით მანდილოსანს მარიკომ, ქალმა ბინის კარი რომ გააღო.

— ო, არა, ასე ვერ გაგიშვებთ. ერთი ფინჯანი ყავა მაინც დავლიოთ. თავს კი არ ვიქებ, მაგრამ ყავის მოხარშვის ოსტატად მიცნობენ ბათუმში.

— კი, ბატონო, თუ არ შეწუხდებით, სიამოვნებით დავლევ ყავას, — უარი არ უთქვამს მარიკოს და დიასახლისის მიერ მითითებულ სავარძელში ჩაჯდა.

ბინა კოხტად იყო მოწყობილი, ყველაფერს მზრუნველი ხელი ეტყობოდა,

„საბრალო, ეგეც ჩემსავით სულ მარტოა, უხარია ადამიანთან ლაპარაკი, — გაიფიქრა მარიკომ და შიშმა გული შეუკუმშა, — აი, ხვედრი მარტოობისა... ვაი, რომ მეც ეს მელის..."

— თქვენი სახელი? — სამზარეულოდან გამოიხედა მანდილოსანმა.

— მარიკო.

— მეც მარიამი ვარ, სეხნიები ვყოფილვართ, — გაებადრა ქალს სახე, — გადაათვალიერეთ ალბომი. დიდი ხნის სურათებია, მაგრამ მაინც საინტერესოა.

მარიკომ გადაათვალიერა ალბომი. კიდევ უფრო შეებრალა მასპინძელი, მიხვდა, ქმარიც ჰყოლია, შვილიც, მაგრამ ეტყობა ყველაფერი წარსულში იყო, ახლა მარტო დარჩენილა, წვალობს ბაზარში სიარულით, შინ ფაცი-ფუცით. ალბომი თავის ადგილზე დადო, დაუკითხავად ჩამოიღო გიტარა, ალბათ უფრო თავისი ნაღველის გასაფანტავად სიმები ააჟღერა და სიმღერაც მოაყოლა — „გენაცვალე".

ქალბატონი მარიამი ფეხაკრეფით შემოვიდა ოთახში, ლანგრით ყავით სავსე ფინჯნები და ნამცხვარი შემოიტანა, მაგიდასთან დაჯდა და აღელვებულმა უთხრა:

— რა ჩინებულად მღერით, ძვირფასო... ო, ეგ რომანსი ჩვენს ახალგაზრდობაში მოდაში იყო. ისე მიყვარდა... ამბობენ, ვანო სარაჯიშვილი ასრულებდა უბადლოდო... ეს ლექსი კი, თვითონ იოსებ გრიშაშვილის წაკითხული მაქვს მოსმენილი. საოცარია, რატომ აქამდე არ მინახიხართ არასდროს?

— მე თბილისელი ვარ.

— კიდევაც იმიტომ არ გიცნობთ... მიირთვით ყავა, შემიფასეთ ნახელავი. მერე კი ისევ უნდა იმღეროთ... მშვენიერი ხმა გაქვთ. მომღერალი ხართ?

— ექთანი ვარ.

— ავადმყოფთან ჩამოხვედით?

— დასასვენებლად ჩამოვედი, მხოლოდ ათი დღით.

— სად გაჩერდით?

— ჯერ არსად.

— მაშინ ჩემთან დარჩებით.

— ქალბატონო მარიამ, მე არავის შეწუხება არ მინდა.

— შეწუხებაო? თუ არ გინდათ მოხუცთან ყოფნა?

— არა, არა, ეგ არ მიფიქრია.

— რის შეწუხება, რა შეწუხება, აბა, ეგ რა სათქმელია... შვილი მეზღვაური მყავს. სულ ზღვაშია. ახლა კი აქ არის, მაგრამ მას თავისი ოთახი აქვს, ის ჩვენ რას შეგვიშლის. გვიან მოდის ხოლმე, გემს ამზადებს შორეული ნაოსნობისათვის. ვერ მაღირსა დაოჯახება, რძალი, შვილიშვილი... მე ძალიან განვიცდი, ის კი ამბობს, ყველაფერი ბედიაო. თქვენ გწამთ ბედი?

მარიკომ წამით თვალი გაუსწორა მარიამს, მერე ნელა დახარა თავი და ნაღვლიანად ჩაიდუდუნა:

— მწამს...

— ჩემო სიკვდილი, ეს ოქრო ქალი გაუთხოვარი ხართ?! — წუხილით მიაჩერდა მარიამი სტუმარს.

„ვაი, ჩემი საშველი არც აქ ყოფილა“, — თვალი აარიდა მარიკომ.

— ასე რამ დააბრმავათ კაცები, რომ ვერ დაუნახავთ ასეთი ქალი, დღემდე რომ ვერ იგრძნეს თქვენი ქალური სითბო და ანდამატი... დარჩით ჩემთან, შვილივით მოგივლით, ერთად ვისეირნებთ, გაგაცნობთ ჩვენს ქალაქს...

— მე კარგად ვიცნობ ბათუმს, ბევრჯერ დამისვენია აქ, მართალია, დიდი ხნის წინათ...

— ხომ დარჩებით?

— თქვენი ვაჟისა მერიდება.

— ორმოცდახუთი წლისაა, ეგ არარავის და არარაფერს აღარ აქცევს ყურადღებას. მე ვფაციფუცობ მთელი დღე, იმისთვის ვცდილობ, ის კი... იცით, შინაბერას რა უჭირს, აი უცოლო კაცი კი საშინელებაა. დამიჯერეთ, ასეა. ყველაფრისადმი გულგრილები ხდებიან, ეგოისტები... სიცოცხლეს ზერელედ უყურებენ... მარტო შრომით ტოვებენ კვალს, მაგრამ ადამიანის დანიშნულება ხომ ისიც არის, რომ გააგრძელოს კაცობრიობა, გაამრავლოს... ცოდვაა, ვინც უძიროდ, უშვილოდ რჩება...

— ქალბატონო მარიამ, შეიძლება კიდევ ერთი ფინჯანი ყავა? — აღელვებული ქალის ფიქრიდან გამოთიშვა სცადა მარიკომ.

— დიახ, როგორ არა, სიამოვნებით... ოღონდაც კიდევ იმღერეთ... აი, თუნდაც „მხოლოდ შენ ერთს“, იცით ეს რომანსი? მეც აგყვებით...

მარიკომ ხმადაბლა წამოიწყო სიმღერა. მარიამიც ასევე ჩუმად აჰყვა.

ოთახში ხმაშეწყობილი დუეტი ახმიანდა.

„ეჰ, ასეთი დედამთილი რომ შემხვედროდა, რა ბედნიერი ვიქნებოდი“, — გაიფიქრა მარიკომ და მასპინძლის საოცრად ცოცხალ ცისფერ თვალებს გახედა.

— რა იქნებოდა, თქვენისთანა რძალი მყოლოდა? ხომ თავს დაგანაცვლებდით, შვილებო, — თითქოს მარიკოს ფიქრი ამოიკითხა და თანაუგრძნობო, დარდიანად ჩაილაპარაკა მარიამმა.

— თქვენს შვილს, ალბათ ახალგაზრდა გოგონა ენდომება, კიდევაც რომ გადაწყვიტოს ცოლის შერთვა... მე იმას რას გამოვადგები... მე შეიძლება, შვილიც აღარ მეყოლოს... განა პატარა ვარ...

— გეყოლებათ, შვილო, გეყოლებათ. არ გეყოლებათ და ობოლს ავიყვანთ, ღმერთმანი, მადლია ობლის გაზრდა.

— არ ვიცი, მეტისმეტად კეთილშობილი ხართ, თუ უბრალოდ კეთილი გულის ადამიანი, ქალბატონო მარიამ.

— მე მარტოობის მტერი ვარ, მინდა ყველას ოჯახი ჰქონდეს ლამაზი, ბედნიერი ოჯახი. ნუ გეღიმებათ, ძალიან მომწონხართ, უნდა დაგტოვოთ ჩემთან.

— ქალბატონო მარიამ, უნდა გაკოცოთ, — წამოიძახა მარიკომ და გადაკოცნა მასპინძელი. — ხომ ვიცი, ხუმრობაა, ხომ ვიცი, სიტყვების ფუჭი ხარჯვაა, მაგრამ კეთილად ნათქვამი რომ არის, უსაზღვრო პატივისცემა ვიგრძენი თქვენდამი... საოცარი ქალი ხართ, საოცარი, დედა... გმადლობთ! რა ხანია, ასე არ ვავმხიარულებულვარ, ასე მგონია, მეც სიკეთე გადამედო თქვენი, და თქვენი სახით დიდი მეგობარი შევიძინე...

— იმღერეთ, მარიკო, გთხოვთ,... რაც გინდათ, ის იმღერეთ.



მხატვარი ლია სვანიძე

გიორგის გეფიცებით, მეც, მეც მიხარია, რომ გაგიცანით... ახლობელივით მოგენდეთ...

მარიკომ ისევ აახმიანა გიტარა და ძველებური რუსული რომანსი დაამღერა: „Только раз бывает в жизни встреча“.

მარიამი დაიძაბა, მარიკოს გაოგნებული მიაჩერდა და აღელვებულმა უთხრა:

— თქვენ მარიკო ხართ, ექთანი... თქვენ ამ ოცი წლის წინათ, ბათუმში, ექიმ ტრაპაიძის ოჯახში იმღერეთ ეგ რომანსი, მისი დაბადების დღეს, ვახშამზე... ნუთუ არ გახსოვთ, მარიკო? გაიხსენეთ, გაიხსენეთ...

— ამ ოცი წლის წინათ, აქ, ბათუმში, ექიმ ტრაპაიძის ოჯახში? — მარიკოც გაოგნდა, მარიამს გაოცებით მიაჩერდა. — ჰო, დიახ, დიახ, იყო ასეთი შემთხვევა... მე და ჩემი ნათესავი გოგონა, ტრაპაიძეების მეზობელთან ვისვენებდით, ოთახი ჰქონდა ჩემს ოჯახს დაქირავებული... ჰოდა, მთხოვეს, ეს რომანსი იუბილარისათვის მემღერა... მეც ვიმღერე.

— იმ ვახშამზე ჩემი გიორგიც იყო, ტრაპაიძეების ვაჟის ამხანაგია, ეხმარებოდა მასპინძლებს სტუმრების ჰომზადებაში. არ ვიცი, რა თვალით შემოგხედათ, მაგრამ ის დღე იყო და ის დღე, აწაც ქა-

ლისაკენ აღარ გაუხედავს. მე რომ გამანდო საიდუმლოება, აღარც ის თქვენი დიასახლისი იყო ცოცხალი და აღარც ექიმი ტრაპაიძე, მისი ვაჟი კი სევასტოპოლში გადავიდა სამუშაოდ.

— კი, მაგრამ მას შემდეგ იმდენი ხანი გავიდა, მთელი ოცი წელი... თქვენი ვაჟი ალბათ გეხუმრათ, ან ასე, ტყუილ-უბრალოდ მოიმიზეზა ის საღამო, რომ თქვენ დაგამშვიდოთ, რომ ამაზე აღარ ელაპარაკოთ.

— არა, არა, როცა შინ არის, ერთხელ მაინც რომ არ ჩაიღიღინოს ეს რომანსი, არ შეუძლია. თვითონაც უკრავს ხოლმე ხან გიტარას, ხან კი როიალს. გულში ჩარჩა ის საღამო. ხდება, კი, ხდება... და არც მიკვირს, დამიჯერეთ, რომ გაგიცანით, სულ აღარ მიკვირს. როგორ შეიძლება თქვენი დავიწყება, მარიკო... გაგიჟდება, გიორგი ახლავე დავურეკავ პორტში.

— ნუ, ქალბატონო მარიამ, დე დარჩეს მშვენიერ მოგონებად ის საღამო. მას შემდეგ ოცი წელი გავიდა, მე ის აღარა ვარ, გამოვიცვალე, მეწყინება ის გრძნობა რომ ჩაიშალოს, გაქრეს... წავალ, ასე აჯობებს. აბა, რა საპატარძლო ვარ ახლა მე.

— ეს სიმხდალეა, რასაც თქვენ აპირებთ, ეს ბედისაგან გაქცევაა, — ცრემლი მოერია მარიამს, — გგონიათ, ის კი ოცდახუთი წლის ნეფესა ჰგავს? ოღონდაც, რომ ვაჟკაცია და კაცური კაცი, — ამის თავდები ვარ.

—იმედი გაქვთ, შთაბეჭდილებას მოვახდენ?! — უნებურად გაეღიმა მარიკოს.

— ეჭვი არ მეპარება. ბრმა და ყრუ უნდა იყოს კაცი, თქვენისთანა ქალით არ მოიხიბლოს, — მარიამმა შუბლზე აკოცა მარიკოს და ლოყაზე ხელი მოუთათუნა.

— სხვა დროს მოგინახულებთ, ახლა კი წავალ. ქალი ხართ, უნდა გამიგოთ...

მარიამი ნაღვლიანად მიაჩერდა მარიკოს, მაგრამ უცებ ერთმა ფიქრმა გაუელვა და გახალისებულმა უთხრა:

— თქვენი ამოტანილი ხილი მაინც მიირთვით, აკი ვთქვი, გიორგი გვიანობამდე არ მოვა შინ-მეთქი. იყავით ცოტა ხანი კიდევ ჩემთან... კიდევ იმღერეთ ის რომანსი, ჩემთვის იმღერეთ, მარიკო...

უარი ველარ თქვა მარიკომ, ჩამოჰკრა გიტარის სიმებს ხელი, რაღაც დაღიღინა, მარიამი სამზარეულოში რომ გავიდა, მერე კი გულიანად დაამღერა: Только раз бывает в жизни встреча...“

მარიამმა შეუმჩნევლად გაიტანა სამზარეულოში ტელეფონის აპარატი, გაიხურა კარი და პორტში დარეკა საჩქაროდ:

— გადაეცით გიორგი გოგიტიძეს, ახლავე შინ მოვიდეს, დედა ვარ მისი... არავითარი უსიამოვნება, მაგრამ მაინც მოვიდეს, ახლავე, დაუყონებლივ... — მერე გარეცხა ხილი, ლამაზად მოაწყო ლანგარზე და ტალანში რომ გამოვიდა, შვილმაც შემოაღო კარი, შეშინებული მიაჩერდა დედას.

— ცოცხალი ხარ, ადამიანო? როგორა ხარ, დედა?

— ძალიან კარგად, არ მეტყობა თუ?

— მაშ რად დამიბარე? დედა, რა ხუმრობაა?

— ჩუუ. ყური მიუგდე სიმღერას, გიორგი...

მეზობელი ოთახიდან გულშიჩამწვდომ კვნესასავით მოისმოდა ძველებური რომანსის ხმადაბალი სიმღერა.

გიორგი სმენად გადაიქცა, გაოგნებული მიაჩერდა დედას.

— ვინ არის დედა? ვინ მღერის?

—შენი საოცნებო ქალი...

— ჩემი საოცნებო ქალი?! რას ამბობ, დედა? — გიორგიმ ოდნავ გასწია ფარდა, ოთახში შეიხედა და განცვიფრებული მიაჩერდა მარიკოს.

მარიკო უცებ გაჩუმდა, ფეხზე წამოიჭრა, გიტარას მოხვია ხელი და შემკრთალი მიაჩერდა ოდნავ თმაშევერცხლილ, ახოვან კაცს.

— გამარჯობათ, მარიკო, — ღიმილი მიაშუქა გიორგიმ გაფითრებულ ქალს, — როგორა ხართ? რა ხანია არ მინახიხართ... გამარჯობათ!

— გამარჯობათ, გიორგი... — მორიდებით გაუღიმა მარიკომ, უნებურად მოახლოებული დაბადების დღე მოაგონდა და თვითონაც გაუკვირდა, რომ აღარ ეჩოთირა, მალე ორმოცი წლისა რომ სრულდებოდა.



# სამი სოფლის ექიმი

სამედიცინო ინსტიტუტის ეზოდან კაფანდარა ქალიშვილი გამოვიდა. თავჩაღუნული მიაბიჯებდა. სახეზე უსაზღვრო სევდა აღბეჭდოდა.

ჯიბე მოიჩხრიკა, ხურდა ფული აუჩხრიალდა. სოფლიდან დედამ ველარაფერი მიაშველა, ეს კვირაც როგორმე ასე უნდა გაატაროს. არა, სიარული არ ეზარება, მაგრამ დრო, საშური დრო იკარგება — დიდხანს უნდება ვაკიდან ნავთლუღში ფეხით გასვლას.

გული უფრო დაუმძიმდა. ის ავბედითი ღამე გაახსენდა, მამამისი რომ წაიყვანეს სახლიდან, წაიყვანეს და აღარ გამოჩენილა.

ნაბიჯს აუჩქარა. უცებ მის წინ ვილაცამ მანქანა დაამუხრუჭა.

— გოგო, შენ ეთერ ბურჯანაძე არა ხარ?! რა ფერი გადევს, ძლივს გიცანი, დაკვირვებით შეათვალიერა ქალიშვილი გიორგი იმნაიშვილმა, ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის ყოფილმა მდივანმა, რომელიც იმხანად ქუთაისში გადაეყვანათ სამუშაოდ ქალაქკომში.

— ცუდად არა ვარ, მაგრამ... არც უმაგისობაა — უპასუხა სევდიანად ეთერმა და ხმაში ცრემლი გაერია.

— აბა, დალაგებით მიამბე ყველაფერი!

— მამაჩემის ამბავი ხომ იცით?! ამის გამო სტიპენდია მომიხსნეს, მიპირებდნენ, ინსტიტუტიც დამეტოვებინა, მაგრამ ჩემმა საგამოცდო ნიშნებმა მიხსნა.

— აბა, ჩაჯექი მანქანაში და წავედით!

— სად?

— კომკავშირის ცეკაში, ნინო ჟვანიასთან — მეორე მდივანთან, იქნებ დაგვეხმაროს.

რამდენიმე წუთში ნინო ჟვანიას კაბინეტის წინ იდგნენ.

— შენ აქ დამიცადე, მე შევალ, — გიორგი კარებს იქით გაუჩინარდა. ორიოდე წუთში ეთერსაც უხმეს.

— ღირსი რომ არ იყოს, პატივცემულო ნინო, არ გთხოვდით დახმარებას. — ამ სიტყვებს შეუსწრო ეთერმა და განითლებულმა თავი ჩაღუნა.

— აბა, როგორ სწავლობ? — შეეკითხა ნინო ქალიშვილს.

— კარგად, პირველი სემესტრი ფრიადებზე დავხურე, ახლა მეორე სემესტრის გამოცდებისათვის ვემზადები.

— ჰმ, მშიერი მუცლით რას მოემზადები! აბა, წავედით ინსტიტუტში.

— მეორე დღეს ეთერმა რვა თვის სტიპენდია ერთად მიიღო და შვებით ამოისუნთქა.

უცებ აჩახჩახდა გაზაფხულის მზე, სულში საამო სითბო ჩაეღვარა, — ეს რა სურნელება ჰქონიათ ვერის ბაზარზე შემოტანილ შროშანებსა და იასამნებს!

1942 წელი იდგა... მრისხანებდა, მძვინვარებდა სამამულო ომი... ეთერ ბურჯანაძემ დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი.

კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე ადამაშვილმა სიღნაღის რაიონში, სოფელ ტიბაანში გაგზავნა ეთერი სამუშაოდ.

თავზესაყრელი საქმე ელოდა სოფლის ექიმს, რომელმაც არც თუ ისე კეთილმოწყობილი საფერშლო პუნქტი ჩაიბარა.

მალე სოფელი ახალი ექიმის კაიქალობაზე ალაპარაკდა, მის მზეს ფიცულობდა, ყველა საქმეში თავის მხსნელად მიაჩნდა.

დღეში რამდენჯერმე ახერხებდა ეთერი სოფლის შემოვლას.

სოფელში ზოგიერთებს იმედი ჰქონდათ გადაწყვეტილი — ლოცვა-ბუტბუტში ათენ-აღამებდნენ. ასეთებისთვისაც ჰქონდა სოფლის ექიმს უებარი წამალი. ჯერ უსაქმურობისათვის შეარცხვენდა, შემდეგ დაარწმუნებდა ჩვენი ქვეყნის უძლეველობაში, ბედნიერი მომავლის იმედს, ხვალის რწმენას ჩაუნერგავდა და, ხდებოდა სასწაული — გუშინდელი განდეგილი კოლმეურნეობაში საერთო შრომის ფერხულში ებმებოდა, მოწინავეებს ეჯიბრებოდა.

საოჯახო საზრუნავიც ბევრი ჰქონდა ექიმს, ახლა უკვე სამი შვილის დედა იყო და ყველა თავისას მოითხოვდა. სოფლელებს უკვირდათ, სადა ჰქონდა ამდენი ენერგია ამ პატარა ქალს, რომელიც ყველაფერს ასწრებდა, აწესრიგებდა.

ბევრი ტკბილ-მწარე მოგონებები აეშლება ხოლმე ექიმს, მაგრამ ერთი შემთხვევა ისე ცხოვლად აღბეჭდვია გონებაში, რომ მის გახსენებაზე ახლაც ფითრდება:

ის იყო სოფელში შემოვლა დაამთავრა, და ბავშვებს მიუტრიალდა, რომ ტიბაანი შემზარავმა კივილმა შესძრა:

— ექიმოოო, გვიშველეეე!

ეთერმა დასტაცა ხელი მედიკამენტების ჩანთას და იქით გაიქცა, საითაც უხმობდნენ.

ეზოში შესულს საშინელი სანახაობა დახვდა: სომეხი მეზობლის პატარა ბიჭი მაკარი თუთის ხიდან ჩამოვარდნილიყო, ღობის მარგილზე ჩამოგებულიყო და უმწეოდ ფართხალებდა და ბღაოდა, ირგვლივ მთელი სოფელი შეგროვილიყო და ახლო მისვლას ვერავინ ბედავდა, სისხლი შადრევანივით გადმოსჩქეფდა.

— ვაიმე, სისხლისგან დაიცლება! — უმალ გაუელვა თავში ექიმს და მამაკაცებს შეუძახა, — რას გაჩერებულხართ, სასწრაფოდ ჩამოხსენით მარგილიდან! — თითონ კი ჩანთა გახსნა... შემდეგ სასწრაფო დახმარებას გამოუძახა რაიონის ცენტრიდან. იმ ხანად რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების გამგედ გამოცდილი ქირურგი მავრო პატარაია მუშაობდა. ისე დაემთხვა, რომ განყოფილებაში თბილისიდან პროფესორი გრიგოლ მუხაძე ჩამოიყვანეს და ის იყო წასასვლელად ემზადებოდა, როცა ტიბაანიდან დარეკეს. მუხაძე მანქანიდან გადმოვიდა, განკარგულება გასცა, საოპერაციო მოემზადებინათ, პატარაია კი ტიბაანში გაიქცა მისაშველებლად:

მუხაძემ შეაქო სოფლის ექიმი და უთხრა: — ეს ბიჭი შენი გადარჩენილია, შენ რომ არ გეყოჩაღა, სისხლისგან დაიცლებოდა და მეც ვერაფერს ვუშველიდიო.

ექიმის გულში კი სიამაყის და სიხარულის გრძნობას დიდი გაოცებაც დაემატა — გზად მიმავალი პროფესორი რომ უკან შემობრუნდა და სასწრაფო ოპერაცია გააკეთა (ხომ შეეძლო ბავშვი ჩვენი გამოცდილი ქირურგისათვის ენდო). აი, როგორი უნდა იყოს ექიმი!

ტიბაანში ეთერ ბურჯანაძემ 1952 წლამდე იმუშავა, შემდეგ კი თავისი მეუღლის მშობლიურ სოფელ ნუკრიანში დამკვიდრდა ოჯახით.

ახლა სოფლის ექიმი საკმაოდ დიდ კონტინგენტს ემსახურება — სოფლებს: ნუკრიანს, ნუკრიანის კალოებს და ზემო მაღაროს. ექიმი ცხოვრების შუაგულში ტრიალებს, მიუხედავად ასაკისა, ახალგაზრდული ენერგიით იღებს მონაწილეობას ყველა ღონისძიებაში. დღემდე ის იყო სახალხო დეპუტატების სასოფლო და რაიონული საბჭოს თითქმის ყველა მოწვევის დეპუტატი. მისი თაოსნობით ნუკრიანში გაიხსნა აფთიაქი, ნუკრიანის კალოებზე კი — საფერშლო პუნქტი, ხოლო რაიონის მთავარი ექიმის ვ. ნასრაშვილის დახმარებით ნუკრიანში შვიდოთახიანი ისეთი ამბულატორია მოაწყო, რომ ბევრ რაიონს შეშურდება. მათ იციან ეთერ ბურჯანაძის დიაგნოზი ზუსტია, ზუსტია მკურნალობის მეთოდიც, ასეთი მეთოდები კი ყველას მიმართ ექიმს „ინდივიდუალური აქვს.

სოფლის ექიმი ხომ უნივერსალი უნდა იყოს და ეთერიც ხან გადაუდებელ პატარა ქირურგიულ მანიპულაციებს აკეთებს, ხან გინეკოლოგიურ ჩარევას, ხან პატარა პაციენტებს ილეჩს, ჩვილებსაც და მოზარდებსაც. ბავშვთა სიკვდილიანობის შემთხვევები სოფელში არ არის.

კოლეგებს უყვართ ჩვენი ექიმი, პატივს სცემენ მის ნიჭსა და უნარს. მთავრობამაც საკადრისად დააფასა მისი ღვაწლი. დააჯილდოვა შრომის წითელი დროშის ორდენით, უამრავი მედლით, სიგელებით და სხვ.

ბედნიერი დედა და ბებიაა ეთერ ბურჯანაძე. მისმა ქალიშვილმა მარიკამაც სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა, ექიმი მიკრობიოლოგია, მუშაობს შრატებისა და ვაქცინების ინსტიტუტში, საკანდიდატო ნაშრომიც უკვე მზად აქვს, მასაც სამი შვილი ჰყავს.

ბიჭებმა კი უფრო „მამაკაცო“ საქმე აირჩიეს — უფროსი — რამაზი რაიონულ საავადმყოფოში სასწრაფო დახმარების მანქანის მძღოლია, უმცროსი — გაიოზი სოფლის „წყალსადენში“ მუშაობს.

ხუთი შვილიშვილიდან ერთი ბებიის მოსახელეა და თანაც, ახლავე „ექიმობანას“ თამაშობს. ეფერება ბებია პატარა ეთერს, აი ჩემი მკურნალიო, ღიმილით ამბობს.

„დაწერეთ ჩვენს ექიმზე, დაე, ყველამ გაიგოს მისი კაიქალობის ამბავი“, — ამბობს ტრაქტორისტი გ. ბახტურიძე, რომელსაც ტრაქტორმა გადაუარა ფეხზე და პირველ მშველელად ეთერი ექიმი მოევლინა. „დაწერეთ, — ამბობს კოლმეურნე გ. ქუფარაშვილი, კლინიკური სიკვდილიდან რომ იხსნა ექიმმა“. „დაწერეთ, — ვედრების თვალით მთხოვს ლია მანჯაფარაშვილი, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ქვრივი, ბედმა რომ უმუხთლა და ოჯახის უფროსი გვერდიდან გამოაცალა. „დაწერეთ, რომ ჩვენმა ექიმმა გამომიყვანა მდგომარეობიდან ჯერ ჯადოსნური სიტყვით, შემდეგ კი მკურნალობით, მას მერე დავიჯერე, რომ მე არა მაქვს უფლება ავად ვიყო, რადგან ორი პატარა ბავშვი მყავს გასაზრდელი“.

დაწერეს, ბევრჯერ დაწერეს რაიონულ გაზეთში, მაგრამ ხალხს უფრო მეტი სურს, იქნებ ამით უკეთ გამოხატონ მადლობა ჩვენი ექიმის მიმართ, რომელსაც მთელი ცხოვრება სიკეთის მადლით მოფენილ გზაზე უვლია...

აკი ეს არის სამადლობელიც ექიმისაგან ნინო ჟვანიას და მისნაირი კეთილი ხალხის მიმართ, მათ მიერ ჩადენილი კეთილ საქმეთა მიმართ.

ნანი ოქრუაშვილი

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# იქ, არწივების საბუდარზე

გზა სულ უფრო მაღლა და მაღლა მიიწევს.

მთის მწვერვალებიდან მოვარდნილი ჩანჩქერებისა და ნაკადულების გადასასვლელ ქვებზე ჩვენი ვილისი ისე ხტის, როგორც კალია. მაგრამ გაქვს კი უფლება სამდურავი თქვა გზის მიმართ?

ეს გზა სიცოცხლის გზაა.

ორმოცდაორის მრისხანე დღეებში ამ გზით გაიარა კავკასიის დამცველმა ჯარისკაცმა. გზა სოფელ ფსხუსა და სანჭაროს გადასასვლელისაკენ მიემართება, საქართველოს ჩრდილოეთის კარისაკენ მიდის.

მგზავრო, შეჩერდი! ამ გზაზე ბევრი საძმო საფლავია. თუ წითელი მიხაკები ან ვარდები არ გაქვს ხელთ, მინდვრის ყვავილები დაკრიფე, შენს გარშემო ისინი ბევრია, დაკრიფე და ძმათა სასაფლაოზე მიმოაბნიე. აქ განისვენებენ ისინი, ვინც თავიანთი სიცოცხლით დაგიცვა შენ.

ჩვენმა ვილისმა გადალახა ავადჰარას გზის ყველა „სიძნელე" და სოფელ ფსხუს უახლოვდება, რომლის ხვალინდელ დღეზე გატაცებით გვიამბობს გუმისთის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე, ჩვენი თანამგზავრი გურამ სიჭინავა:

პატარა რუსული ხუტორია. სულ ორმოცდაათი კომლი ცხოვრობს აქ. კოლმეურნეობის ერთი ბრიგადაა. ალპური საძოვრებითა და მეფუტკრეობით ცნობილი. მეფის მარწუხებს გამოქცეული დონისა და ყუბანის კაზაკობას თავი ამ მთებისათვის შეუფარებია, კეთილი მეგობარი უპოვია. ახლა სოფელში ერთმანეთის მხარდამხარ ცხოვრობენ რუსიც, უკრაინელიც, აფხაზიც, ქართველიც.

სკოლაც არის და კლუბიც. სავაჭრო მაღაზიაც და სამედიცინო პუნქტიც. ზამთარში თუ ეს გზა ჩაიკეტა, ავიაციას ვუხმობთ. ფსხუს ამ ერთ ბრიგადაში იმდენი თივა და თაფლი მზადდება, რამდენსაც კოლმეურნეობის დანარჩენი ბრიგადები ამზადებენ. ახლა კაკალს არ იკითხავთ?

ეს ტყეები მდიდარია კაკლით, რაც საკმაო შემოსავალსაც აძლევს კოლმეურნეობას.

წყალვარდნილზე კვლავ შეტოკდა ჩვენი ვილისი. დანარჩენი შემდეგ, — მანიშნა თავმჯდომარემ, — და მძღოლს ფონის აღებაში შეეშველა.

გზა სულ უფრო და უფრო მაღლა მიიწევს. თვალი ძლივს წვდება ხახადაღებულ უფსკრულებს,

და აჰა, სანჭაროს უღელტეხილი, ამაღლებული ცაში!

მარადიული მყინვარების სამეფოში, სამიათას ხუთას მეტრზე თეთრი ობელისკი ელავს.

ირგვლივ ნატყვიარი კასკები, ტყვიამფრქვევის, ავტომატების ნაგლეჯები ყრია. ჩანგრეული და ჩალეწილი ტრანშეების, ძელმიწურებისა და საბრძოლო პოზიციების ახლოს ედელვაისი მომძლავრებულა.

საოცარია: ლითონმა ვერ გაძლო, ჟანგმა შეჭამა იგი. ამ პაწაწინა, სუსტმა ყვავილმა კი... ჰო, გმირთა სავანეს ყვავილები შვენის და თოვლიან, ბურუსიან სალ კლდეებს შორის დგას ობელისკი, დგას სანჭაროს გადასასვლელზე, საქართველოს ჩრდილოეთის ამ კართან, ამ ორმოცი წლის წინ გადახდილი დიდი ბრძოლების სიმბოლო.

აქ თითოეული ქვაც კი თავისებური ექსპონატია გადახდილი ბრძოლებისა.

— 1942 წლის ზაფხულში მეტად მძიმე და რთული მდგომარეობა შეიქმნა კავკასიის მთავარი ქედის მისადგომებთან. ჰიტლერელთა სარდლობამ უღელტეხილის დასაპყრობად გადმოისროლა მთამსვლელებით დაკომპლექტებული, სპეციალურად გაწვრთნილი სამთო მსროლელი კორპუსი, რომელსაც ამოცანად დაუსახა რადაც უნდა დაჯდომოდათ, როგორი მსხვერპლიც არ უნდა ყოფილიყო, მთების გადასასვლელების გავლით გასულიყვნენ შავი ზღვის სანაპიროებზე და დაეკავებინათ ქალაქი სოხუმი.

**„საქართველოში მტერს ამ გზით სურდა**
**შემოჭრილიყო მალვით.**
**ვერ გაარღვია მომხდურთა რაზმმა**
**ცეცხლის ელვარე რკალი.**
**აქ ზარბაზნების ზათქი, ხმაური,**
**უფსკრულს მიჰქონდათ ზვავებს.**
**ჭექდა მთამსვლელი და მეზღვაური,**
**მტერთან ვინ გაგვაზავებს".**

ნიკოლოზ ტიხონოვის დიდებულ სტრი-

ქონებს იმარჯვებს ჩვენი მეგზური, ამ ბრძოლების გმირი გენადი დარსალია და ღია მუზეუმის ექსპონატებს გვაცნობს.

გადასასვლელებზე განლაგებული ჩვენი ჯარების მცირერიცხოვანი, მაგრამ გულადი და მამაცი მეომრები გმირულად შეებრძოლნენ მუხანათი მტრის მეტად ჭარბ ძალებს და საკუთარი სიცოცხლის ფასად შეძლეს მაშველი ჯარების მოსვლამდე შეეჩერებინათ ფაშისტ დამპყრობთა წინსვლა.

საბჭოთა არმიის ნაწილებს დიდი დახმარება გაუწიეს სოფელ ფსხუს მცხოვრებლებმა.

პატარა სოფელია ფსხუ, იმდენად პატარა, რომ არცერთ პოლიტიკურ თუ გეოგრაფიულ რუკაზე არ იყო მინიშნებული. სამაგიეროდ, ორმოცდაორი წლის მრისხანე დღეებში ყველა სამხედრო რუკაზე ამოიკითხავდით მას.

სოფელი აფხაზეთის მთებშია ჩასმული. საოცრად მზიანია ფსხუ — კოპწია რუსული სახლებითა და ყვავილნარით დამშვენებული, მყუდრო, ძალზე მყუდრო სოფელი.

და აი, ამ მყუდრო სოფელს, პირველს და ერთადერთს საქართველოში, კარს მოადგა დაუპატიჟებელი სტუმარი და კბილებამდე შეიარაღებულ „ედელვაისს" შეება იგი.

...„ედელვაისის" ნაწილებმა გაარღვიეს დოუს გადასასვლელი და შავი ზღვისაკენ გამოიჭრნენ. სოფელში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.

სოფლის საბჭოში სწრაფად შეიკრიბნენ ძმები ემილიან და მარტინ კაზარენკოები, პეტრე ზახაროვი და პავლე სიმონენკო, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ალექსანდრე შიშინი, მილიციის მუშაკები ალექსანდრე ოტირბა და პეტრე პაპავა, პელაგია დობროვოლსკაია... შეაგროვეს იარაღი, თითოეული მათგანი კარგი მონადირე იყო. ვიწრო ბილიკებით გაიტყუეს მტერი და იცოცხლე, თავზედი აწყევლინეს!

ვინ იცის, მერამდენედ გადასცემს ამ გაკვეთილს მარტინ კაზარენკო თავის აღსაზრდელებს.

ყველაზე დიდი გაკვეთილი ამ ხუთი წლის წინათ ჩატარდა აქ. იგი მარტინთან ერთად ჩაატარა საბჭოთა კავშირის გმირმა, მენრალმა ვლადიმერ კარპოვმა და პოეტმა ნიკოლოზ კვიწინიამ. შარშან ასეთი გაკვეთილი ჩაატარა შორეული ნაოსნობის ლეგენდარულმა კაპიტანმა ვახტანგ ბარათაშვილმა.

ეს მეგობრობის დიდი გაკვეთილები იყო, და მარტო ბავშვებისათვის კი არა, — მთელი სოფლისათვის!

9 სექტემბერი უსაყვარლესი დღეა ფსხუში. ეს კავკასიის ერთი ურთულესი მონაკვეთის გმირული ბრძოლების დიდი გახსენებაა, არ დავიწყებაა, იმისა, რაც საბჭოთა ადამიანის ბრძოლითა და სისხლით არის მოპოვებული.

საქართველოს ჩრდილოეთის კართან, აფხაზეთის მთებში ხარობს პატარა რუსული სოფელი, აფხაზური სახელით ფსხუ, როგორც სიმბოლო რუს-ქართველთა და აფხაზთა მეგობრობისა. შარშან 9 სექტემბერს აქ ზეიმით აღინიშნა გერმანელებისაგან სოფელ ფსხუს განთავისუფლების 40 წლისთავი. ზეიმში მონაწილეობას იღებდნენ ომის ვეტერანი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტთან არსებული სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საკოორდინაციო საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი გალაქტიონ პაიჭაძე, პარტიის სოხუმის რაიკომის პირველი მდივანი ვლადიმერ კადენეცი, შორეული ნაოსნობის კაპიტანი ვახტანგ ბარათაშვილი, — სოფელ ფსხუს ბრძოლების მონაწილეები: გენადი დარსალია და ალექსანდრე ტარია, პოეტი რევაზ ასაევი და მრავალი სხვა. სოფლის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ეკატერინე ფსხუ ხელგაშლილი მასპინძლობდა ყველას.

საოცარი დამთხვევაა გვარისა და სოფლის სახელწოდების.

— მაქვს თუ არა უფლება ყველა ფსხუელის სახელით გავაღო ყველა სახლის კარი და მიგიპატიჟოთ, — ღიმილით ამბობდა სოფლის თავკაცი და ყვავილნარით შემკობილ ეზო-ჭიშკარში მიგვიძღვებოდა.

კოლმეურნე ვასილ სიმონენკოს ოჯახს ვეწვიეთ.

9 სექტემბერს ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ვასილ და ოლია სიმონენკოები მერვე შვილის, პატარა საშკას დაბადების დღეს იხდიდნენ.

გამრჯე კოლმეურნეების სიმონენკოების ოჯახის ჭერმა მაღლა აიწია. სოფელში იმ დღის ყველა სტუმარმა მათთან მოიყარა თავი.

და პირველი სადღეგრძელო მეგობრობისა შეისვა.

**მაყვალა ინასარიძე**

**სანჭარო-ფსხუ,**
**აფხაზეთის ასსრ.**

## ფაზუ ალიევა

**დაღესტნის სახალხო პოეტი**

* * *

მესმის და მესმის
მიწის ხმაური,
ეს არის ჩემი დიდი იღბალი:
გვირილის შუქი ლექსებს გაუვლის,
ჰყვავის ცერცველა და მეც მიხარის.

ყველა ბალახი, ვიცი მენდობა,
ზოგი დობას მთხოვს,
ზოგიც დედობას,
ცხოვრება, ჩემი მშობელ მიწანის,
ვით ხელოვნება ისე ვიცანი.

გამეხსნა სმენა ეგზომ მდიდარი,
მაინც ვდარდობ და ვერ გავიდარე:
შენ ჩემო წმინდავ, ჩემო მფლობელო —
შევძლებ დაგხატო მიწავ მშობელო?

* * *

აბა, მოისმინეთ თქვენ ჩემი ენა —
— არა გრძნობთ განა, არწივის ფრენას?
უფსკრულზე დაკიდულ ბალახთა შრიალს?
და მოურჯულებელ ჩანჩქერთა თქრიალს?

სახნავ-სათესავად გატეხილ ციცაბს,
მთიელთა წერქვით აღებულ მიწას,
ამოჰყვა მახვილი ბელტებთან ერთად? —
ჩვენ მიწას ვიცავდით, ვუტევდით მტერთა.

ხმიანობს ამაყად ავართა ენა,
არწივთა ყივილი, არწივთა ფრენა.
ცხოვრება მთიელთა, ვით ენა მათი
მოდის და მდინარებს მაღალი ზათქით!

თარგმნა ნ. კილასონიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფაზუ ალიევა

— მზემ შემოანათა, მზემ! — შესძახა თამადამ ქორწილში, როცა ლერწამივით ტანატყორცნილ ქალს შეხედა. ზღურბლზე კი ამაყად თავაწეული, მშვენიერი ასული იდგა. ელვარე ღიმილი მას მართლაც მზეს ამსგავსებდა. სადაც უნდა მისულიყო ფაზუ, ყველგან ეს მომხიბლავი ღიმილი ამშვენებდა, ყველგან სიხარული, მხიარულება და ბედნიერება შეჰქონდა, სადაც უნდა ყოფილიყო, გეგონებოდათ ხალხს მუჭით აყრის სხივსა და ღიმილსო.

ფაზუ ალიევა. დაღესტნის სახალხო პოეტი. ვისაც კი პოეზია უყვარს, ყველას გაუგონია მისი სახელი. ფაზუს — ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და საყვარელ საბჭოთა პოეტს ეტრფიან და ადიდებენ. ჩვენთან, დაღესტანში მას სიყვარულით მხოლოდ სახელით იხსენიებენ — ფაზუს ეძახიან. მის სახელს როგორც პაროლს, — დათქმულ სიტყვას, — ნაზად, სათუთად წარმოთქვამენ, თითქოს დასამსხვრევად საფრთხილო ძვირფას ნივთს ხელით ეხებიანო.

გაინტერესებთ როგორია ფაზუ? ჩვეულებრივი ქალია, რომელსაც ასეთივე ჩვეულებრივი, ადამიანური ფიქრი და საზრუნავი გასჩენია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ის ამ ფიქრს, ამ საზრუნავს სხვებისგან განსხვავებულად, ლირიკულად, სათუთად შეიგრძნობს, ყველაფერს პოეზიის პრიზმაში ატარებს. სადაც უნდა წავიდეს, თავის სამშობლო აულში-გინიჩუტლში თუ უცხოეთში, როგორც ყველაზე ძვირფას რელიკვიას, როგორც თილისმას, ყველგან თან დაატარებს ტიუტჩევის პატარა წიგნს.

— არაფერში გავცვლი ამ წიგნს, — ამბობს ის, — ტიუტჩევი გენიოსია. განა არის ვინმე მასავით სათუთი, ადამიანის სულის ყველა ნიუანსის შემგრძნობი?

და თვითონაც ასეთი მგრძნობიარე და ნაზი სულის ადამიანია. ეტყობა ასეთნი მხოლოდ ქალები — დედები არიან და მასაც ხომ ოთხი ვაჟი ჰყავს. პოეტს გულთან საკუთარივით მიაქვს სხვისი წყენა-უბედურება და ბავშვივით ხარობს სხვისი ლხენა-ბედნიერებით.

ფაზუს შორიდან რომ დაინახავენ, მთიელი ქალები მოხიბლულნი აყოლებენ თვალს და ერთმანეთს გადაულაპარაკებენ ხოლმე: „აგერ ფაზუ! ქალიც ასეთი უნდა! რა ბედნიერია თვითონ და რამდენ ბედნიერებას უნაწილებს სხვებსაც!"

— ბედნიერება მე ასე მესმის: — ამბობს ფაზუ, — ჯერ ერთი, ცა უღრუბლო უნდა იყოს, ქვეყნად მშვიდობა უნდა სუფევდეს, და, მეორეც, შრომა უნდა გიყვარდეს, შემოქმედებითი შრომა, რომელსაც მთელ ძალღონესა და სიცოცხლეს შესწირავ.

— ნეტავ სადა აქვს ამდენი დრო, ნეტავ როგორ ასწრებს ამდენის წერას: — გაკვირვებით კითხულობენ უცნობებიც და ნაცნობებიც და მართლაც რომ აქვთ გაკვირვების საფუძველი: პოეტი ხომ 50 გამოქვეყნებული წიგნის ავტორია. პოეტს, პროზაიკოსს, პუბლიცისტს, დაღესტნის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, ჟურნალ „დაღესტნელი ქალის" მთავარ რედაქტორს, დაღესტნის ასსრ მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრს ფაზუ ალიევას, როგორც მშვიდობის ელჩს, უცხოეთის ბევრ ქვეყანაში მრავალგზის ღირსეულად შეუსრულებია თავისი საპატიო მისია. მის მკერდს ამშვენებს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საიუბილეო მედალი და მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის მედალი „მშვიდობისათვის მებრძოლი", არის მრავალი საკავშირო შემოქმედებითი კონკურსის ლაურეატი, მიღებული აქვს ორი „საპატიო ნიშნის" ორდენი.

ვერ წარმოიდგენთ რა სასწაულებრივი ჯაფა აწევს ფაზუს მხრებს! რის გაკეთებასაც სხვები მთელ კვირას და მთელ თვეს მოუნდებოდნენ, ის ერთ დღეში აკეთებს. მე მას ფუტკარს თუ შევადარებ. პოეტი დილაადრიანადვე მიუჯდება ხოლმე საწერ მაგიდას და მხოლოდ შუაღამის ჟამს ქრება შუქი მის ფანჯრებში.

ყოველდღე, — სულ ერთია მიღების დრო იქნება თუ არა, — ფაზუსთან ათობით მთხოვნელი მოდის. და თუ ვინმე რაიმე დახმარებას სთხოვს, ის თავის საქმეს თავს ანებებს, მთხოვნელს ყურადღებით უსმენს და, რაც შეუძლია, ყველაფერს უკეთებს. მთხოვნელები კი უმეტესად ქალები არიან. თუ დაინახა, რომ ქალი დაუჩაგრავთ, უსამართლოდ მოქცევიან, ფაზუ შეიცვლება და მრისხანედ შეჰკრავს ხოლმე წარბს, თავის კორესპონდენტებსაც და სხვა მუშაკებსაც, ყველას ფეხზე დააყენებს, ყველა ინსტანციას შეაწუხებს, მარტო დაღესტნის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის უფლებებს კი არა, თავის ავტორიტეტსაც გამოიყენებს და მანამ არ მოისვენებს, სანამ სამართალს არ მიაღწევს. ვინ მოთვლის, რამდენი ადამიანის გული გაუხარებია.!

— რა ძირფესვიანად შეიცვალა მთიელი ქალის ცხოვრება! — იტყვის ხოლმე ფაზუ. ხშირად უყვარს გახსენება, მოხუცმა მთიელმა შვილიშვილისთვის მსოფლიო ლიტერატურის გამოწერაში დახმარება რომ სთხოვა.

დაღესტნის მთებში გაზრდილი უბრალო მთიელის შვილი, იმ მთებში გაზრდილი, სადაც რევოლუციამდე ქალი გაუგონრად იჩაგრებოდა, დღეს ამაყად და გაბედულად გამოვიდა საერთაშორისო არენაზე. მისი წიგნები მსოფლიოს ოცზე მეტ ქვეყანაშია გამოცემული. შემოქმედი ქალი მკითხველებს აჯადოებს გულწრფელობითა და ნიჭიერებით. მის პოეზიასა და პროზაში არაფერია ყალბი და გამოგონილი. მისი შემოქმედება დილის ცვარნამია, რომელშიც მილიონობით სხივი აირეკლება, მისი ნიჭი დაუშრეტელი წყაროა.

მშვიდობის თემა წითელ ზოლად გასდევს ფაზუ ალიევას შემოქმედებას. მას, როგორც პოეტსა და ოთხი შვილის დედას, აღელვებს პლანეტის ბედი, მსოფლიოს მომავალი. ამიტომაც წერს:

> სადაც არ უნდა წიოდეს ტყვია,
> შორსა თუ ახლო, შინა თუ გარეთ,
> ეს სულ ერთია, ეს სულ ერთია,
> დედის მკერდს ხვდება ეს ტყვია
> მწარედ.

მის შემოქმედებაში რეფრენად ჟღერს სიტყვები: „ხალხო, თესეთ სიკეთე და ის თქვენვე ათმაგად დაგიბრუნდებათ". პოეტი სხვასაც მოუწოდებს და თვითონაც უხვად თესავს სიკეთეს. მისთვის ხომ, — ოთხი ობლის დედის — ქვრივი სანიტარი ქალის ერთ-ერთი შვილისთვის, — ომის ქარიშხლიან წლებში სიკეთე არ დაუშურებიათ თანასოფლელებს. და ისიც, მადლობის ნიშნად, გატაცებით უმღერის იმათ, ვინც ასწავლა და გულში ღრმად ჩაუნერგა ხალხის, სამშობლოს სიყვარული. საკმარისია მისი წიგნების სათაურებს გადავხედოთ („სამაგიერო სიხარული", „ცისარტყელის ფერები", „სიხარულის წვიმა", „როცა შინ სიხარულია", „მკურნალი სიტყვა", „სიკეთის დღე"), რომ უმალვე ჩავწვდეთ პოეტის სულს.

როცა ფაზუ სამუშაოზეა, თითქოს თვით შენობაც კი სულს იდგამს, თითქოს ამ ძველი შენობის გულიც კი მის მკერდში ძგერს. და თითქოს გრძელ დერეფანში ამ გულისძგერას რიტმულად ჰყვება წვრილი ქუსლების კაკუნი. ეს ფაზუა, რომელიც სამუშაოზე მოდის და ყველაფერს აცოცხლებს ირგვლივ. ზღურბლიდანვე გაისმის მისი წკრიალა ხმა, რომელიც დილა ადრიანადვე არღვევს რედაქციის სიწყნარეს:

— აბა მომისმინეთ, ახალი ლექსი უნდა წაგიკითხოთ...

**ასხაბ-ალი ჩაჩანოვი**

ქ. მახაჩყალა.



# მეგობრის გახსენება

ამ ოცი წლის წინათ ხშირად შეხვდებოდით ჭონქაძის ქუჩიდან მეცნიერებათა აკადემიისა და მწერალთა კავშირისაკენ აჩქარებული ნაბიჯით მიმავალ მომღიმარ, ოქროსფერთმიან ქალიშვილს.

ის თინა ჯიბლაძე იყო.

უნივერსიტეტი რომ დაამთავრა, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მოვიდა. ერთმა პირველთაგანმა მოჰკიდა ხელი ქართული საბავშვო ლიტერატურის შესწავლას, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მერე, მოულოდნელად, უდროოდ წავიდა ჩვენგან.

თინა ჯიბლაძე ნიჭიერი მკვლევარი, დიდბუნებოვანი ადამიანი და საინტერესო პიროვნება გახლდათ. ვინც მას იცნობდა, არ შეიძლება არ მოხიბლულიყო ყვავილებისა და პოეზიის უზომოდ მოტრფიალე ქალიშვილის აღტაცებული სიცოცხლით, საოცარი უშუალობითა და სისადავით. იყო მუდამ ხალისიანი, დაინტერესებული და აღფრთოვანებული. დიდი ადამიანური სითბო და ქალური სინაზე იღვრებოდა მისი არსებისაგან; სხვისი ღირსების დაფასებაც სჩვეოდა და თავისი თავის ფასიც იცოდა. ამიტომ მუდამ მშვენიერი გახლდათ.

თინა სავსე იყო სიცოცხლის წყურვილით. არ უყვარდა წუწუნი, უიმედობა, მისთვის უცხო იყო პესიმიზმი და მელანქოლია. უკეთესი მერმისის რწმენით აღსავსე მზის ამოსვლას შეჰხაროდა და თვითონაც მზიან დღესავით ნათელი და უღრუბლო იყო. წუთიერი უგუნებობისა და ნუხილის დროს შრომას მოუხმობდა ხოლმე მკურნალად, ამასვე ურჩევდა მეგობრებსაც. უკურნებელი სენით შეპყრობილი ჩვეული სიხალისით და მომავლის იმედით ხვდებოდა მნახველებს. ხანდახან თუ გაიელვებდა მის თვალებში ულმერთო სევდა... ჯერ კიდევ ბევრი ჰქონდა სათქმელი, ბევრი უნდა ენახა და ეგრძნო. მისთვის ხომ მხოლოდ სიცოცხლე იყო საკმარისი, დანარჩენს თვითონ ქმნიდა... მუდამ რაღაცას ეძებდა, ცდილობდა ყველაფერი საინტერესო დაენახა.

უყვარდა ლიტერატურა, პოეზია... შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი... თანამედროვეთაც არ აკლებდა ყურადღებას. მარად შინაგანი სხივით განათებული, თავისი ბუნებით, სულით პოეტი ქალიშვილის უახლოესი მეგობრები ჩვენი დროის პოეტები და მწერლები იყვნენ. მის საინტერესო არქივს ლიტერატურის მოყვარული და ღირსეულად დამფასებელი ქალიშვილისადმი მიძღვნილი მოთხრობისა და ლექსის შემცველი მრავალი ბარათი შემოუნახავს. თინა ჯიბლაძის მიერ უშუალოდ დასმული კითხვა უშუალო პასუხსვე იღებდა და ასე გროვდებოდა საინტერესო ცნობები თანამედროვე მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებზე: ერთხელ, ლიტერატურის ინსტიტუტის მაშინდელ დირექტორს, სასიქადულო პოეტს გიორგი ლეონიძეს უცაბედად დერეფანში ჰკითხა: თქვენ რომელი ყვავილი გიყვართ, ბატონო გიორგი? — „ია, ია მიყვარს, ქალო, და, თუ მოვიცალე, უეჭველად დავწერ პოემას იაზე“, — უპასუხა ბატონმა გიორგიმ. დიდი მგოსნის ამ დაპირებამ გულწრფელად გაახარა თვითონ იის მოტრფიალე ქალიშვილი.

ვაი, რომ ვერც გიორგი ლეონიძემ მოასწრო დანაპირების შესრულება!..

თინა ჯიბლაძეს საოცარი სინაზით უყვარდა ყვავილები. ის პირველად მის ხელში ნახავდით, ადრიან გაზაფხულზე ქართლის ველებზე ყაყაჩოებს მოინახულებდა ხოლმე, დროის შესაფერი ყვავილის სურნელი ახლდა ყოველთვის და უძვირფასეს საჩუქრადაც ყვავილი მიაჩნდა. უეჭველად ყვავილებით ეწვეოდა მეგობრებს. ამიტომაც სიცოცხლეში ერთხმად ეძახდნენ „ყვავილების მოტრფიალეს“. სიკვდილის შემდეგ კი ასეთად დარჩა მეგობართა მეხსიერებაში:

> ეს არის ჩემი მეგობრის სული,
> ისევ ყვავილთა გრძნებას ემონვის,
> ატვია თეთრი, სპეტაკი კაბა,
> ხელში უჭირავს კალისთემონი
>
> ანა კალანდაძე.

უყვარდა თბილისი, მისი ბუნება, ძველი ტაძრები და უბნები. ხშირად ნახავდით სიონსა და ქაშვეთში, შეხვდებოდით მთაწმინდაზე. უკანასკნელ ხანებში ექიმები ჰაერზე ყოფნას ურჩევდნენ და იმანაც, ფუნიკულიორის პლატოზე ბიბლიოთეკაში შეარჩია საჭირო ლიტერატურა და იქ ამუშავებდა თავისთვის საინტერესო პრობლემებს. სუფთა ჰაერზე ვარ, კიდეც ვმუშაობ და თბილისის ცქერითაც ვტკბები, იტყოდა ხოლმე.

უყვარდა მცხეთა, სვეტიცხოველი, სოლეიდორი... საქართველოს უძველეს დედაქალაქს უეჭველად ეწვეოდა ხოლმე ვარდობის თვეში. ჯვარსა და სვეტიცხოველს მოივლიდა, არმაზის გულში ჩაიხედავდა და სოლეიდორის სალოცავის ვარდებთან შეისვენებდა. აქ შთაბეჭდილების წიგნს შემოუნახავს მისი გულწრფელი სტრიქონები, მოხუც მებაღეს კი დიდხანს ახსოვდა ყვავილების მოტრფიალე ქალიშვილის ანთებული თვალები.

იცოდა უზომო გატაცება და ნამდვილი სიყვარული... თინა ჯიბლაძეს კარგად ესმოდა, რომ სიყვარული ქვეყნად მარტო ორი ადამიანის ინტიმური ურთიერთობისათვის გაჩენილი გრძნობა როდია. მისი გული აღსავსე იყო ადამიანების სიყვარულით. ამ სიყვარულს ყველას სთავაზობდა თავის გარშემო, ამ სიყვარულით გამთბარი უშუალობით ალღობდა იმ ყინულს, რომელიც ხშირად ამძიმებს ხოლმე ადამიანთა ურთიერთობებს. თინა ჯიბლაძეს უნარი ჰქონდა თვითონაც საინტერესოდ ეცხოვრა და სხვისთვისაც გაეადვილებინა, შეეძლებინებინა ცხოვრება. მისი გულწრფელი საუბარი მეგობრებს შემოქმედებითი შემართებისაკენ უბიძგებდა.

იცოდა შენდობა, პატიება...

უყვარდა მოგზაურობა, ექსკურსიები. უკანასკნელად უკვე ავადმყოფმა მოიხილა დავით გარეჯის უდაბნო. დიდი სიხარული მიანიჭა ბუნებისა და ადამიანის მიერ შექმნილმა ამ უბადლო მშვენიერების ხილვამ. უსაზღვრო შთაბეჭდილებებს უზიარებდა ახლობლებს.

მას შემდეგ ინსტიტუტში აღარ მოსულა.

რომ ეცოცხლა, თავის ირგვლივ მყოფ ადამიანებს უფრო მეტად ასწავლიდა ერთურთის სიყვარულს და სიცოცხლის ხალისს, მეტი ხარისხებით აღინიშნებოდა მისი წარმატებები მეცნიერებაშიც, დღეს ალბათ მის იუბილესაც იდღესასწაულებდნენ მისი მეგობრები და მონაფეები, რომელთაც ის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ლიტერატურის სიყვარულს უნერგავდა. მაგრამ ძალიან ადრე შეწყდა ნიჭიერი მკვლევარის სიცოცხლე. დაუცხრომელი ენერგიით აღსავსე, დიდი ნიჭითა და იშვიათი შრომისმოყვარეობით დაჯილდოებულმა ქალიშვილმა მაინც იმდენის გაკეთება მოასწრო, რომ საბავშვო ლიტერატურის ისტორიამ საპატიო ადგილი მიუჩინა თავის ერთ პირველთაგან მკვლევარს. მეგობრებისა და თანამოკალმეებისათვის კი მარად დაუვიწყარი დარჩა თინა ჯიბლაძის ჭეშმარიტად პოეტური ბუნება, მისი მომხიბლავი პიროვნება, მთელი მისი აღტაცებული სიცოცხლე.

მერი ბუზუაშვილი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.






ქართული გაზეთები

# წერილები

„ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, როცა თანაკლასელმა ბიჭმა სიყვარული გამიმჟღავნა. არ ვიცი, მაშინ რატომ გავბრაზდი და გავებუტე. მერე, როცა ვიგრძენი, რომ მეც არ ვიყავი გულგრილი, ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. ვოცნებობდით მომავალზე, ბედნიერებაზე. ცხოვრება საოცრად ლამაზი ფერებით გვეხატებოდა. მასწავლებლებმაც გაიგეს ჩვენი სიყვარულის ამბავი. არა თუ დაგვტუქსეს, როგორც ეს ზოგიერთს სჩვევია, არამედ თანაგვიგრძნობდნენ კიდეც. ჩვენი დამოკიდებულება ვაჟმა თავიდანვე გააგებინა თავის მშობლებს. მაშინ არავის უთქვამს უარი. რაც ხანი გადიოდა, უფრო მტკიცდებოდა ჩვენი სიყვარული. ბოლოს, როცა ორივენი გამოვედით ცხოვრების გზაზე და გადავწყვიტეთ დავქორწინებულიყავით, ვაჟის მშობლებმა უარი გვითხრეს, ანგარიში არ გაუწიეს იმას, რომ მათი შვილიც და მეც ვიტანჯებოდით. მათ ფეხქვეშ გათელეს ჩვენი წმიდა სიყვარული: „რა ჩვენი შვილის შესაფერისია, ოღონდ იმას ნუ შეირთავს და სხვა ვინც უნდა მოიყვანოსო“. ამასობაში ვაჟი სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. გახარებულმა მშობლებმა ხმა დაარხიეს, შვილი სხვა ქალზე დავნიშნეთო. შემდეგ დამარწმუნეს, ვაჟს აღარ უყვარხარ, შენზე სამუდამოდ გული აიყარაო. ფარულად გამოვიტირე ჩემი პირველი სიყვარული და ბოლოს გავთხოვდი. სანიმუშო ოჯახი შევქმენი, ხუთი შვილის დედა ვარ, სამსახურითაც კმაყოფილი ვარ. მე და ჩემს მეუღლეს ყველა პატივს გვცემს. იმ ვაჟმა კი, როცა ჩემი გათხოვების ამბავი გაიგო, თურმე ძალიან განიცადა, დამადანაშაულა და ჩემდამი შურისძიებით განიმსჭვალა. მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა, მაგრამ საკუთარი ოჯახი დღესაც არ შეუქმნია. ცხოვრებამ ჩემთვის ფასი დაკარგაო, — ამბობს და ჩემთან დაახლოებას ცდილობს. მე კი, რა თქმა უნდა, გავურბივარ მასთან შეხვედრას და ეს უფრო აცოფებს, უგულობას მწამებს, ხალხს მიგზავნის და დაჟინებით მოითხოვს ჩემთან მეგობრობას.

ძვირფასო რედაქციავ! გამაგებინეთ, დამნაშავე ვარ თუ არა მის წინაშე, ან როგორ ვუპასუხო ისე, რომ ტკივილი არ მივაყენო?“

ე. მ.

„შემთხვევით გავიცანი. მან გულახდილად გამანდო თავისი დანგრეული ბუდისა და დაფერფლილი სიყვარულის ამბავი. პირველად სიბრალულის გრძნობა დამეუფლა. ხშირად ვხვდებოდი, მინდოდა დარდი შემემსუბუქებინა, მომავლის რწმენა აღმედგინა. ის კი არ ვიცოდი, რომ ჩემი სიბრალული მერე სიყვარულში გადაიზრდებოდა. არა, განა ვნანობ, რომ ასე ძლიერ შემიყვარდა, პირიქით, ჩემმა დიდმა სიყვარულმა ვაჟკაცს იარები მოუშუშა და სიყვარულზე სიყვარულით მიპასუხა. გადავწყვიტეთ ერთად გვეწია ცხოვრების ჭაპანი, ლამაზი, კომუნისტური ოჯახი შეგვექმნა. და აი, ერთ დღეს ქუჩაში მეგობარი გოგონა შემხვდა. ქალიშვილმა განზე გამიხმო და ამრეზით შემეკითხა: „შენს ცხოვრებაში რა მოხდა ისეთი, რომ მეუღლედ ბედნაცვალი კაცი აირჩიე, რატომ უნდა ჰყავდეს შენს შვილს ზიარი მამა?“ მისი ნათქვამი ტყვიასავით მომხვდა გულზე, მაგრამ არ შევიმჩნიე. დანგრეულ ბუდეს რომ აღადგენ, დამსხვრეულ ოცნებას ფრთას რომ შეასხამ, ეს არის კარგი ქალობა, თორემ გამზადებულ ბუდეში ყველა ჩიტი არხეინად ჩაჯდება-მეთქი — მწარედ მივახალე და გავეცალე.

რა თქმა უნდა, მეგობრის სიტყვებმა აზრი ვერ შემიცვალა, მაგრამ გული კი მატკინა, ჩამაფიქრა. იქნებ ჩემი ნაბიჯი სწორი არ არის, მაგრამ რატომ? მე ხომ ამ კაცმა მაგრძნობინა მდიდარი სული და წმიდა, უანგარო სიყვარული? მაშ რატომ უნდა ვკრა ხელი?

გთხოვთ მიპასუხოთ — ის გოგონაა მართალი თუ ჩემი გულის კარნახით გადადგმული ნაბიჯია სწორი?“

ნ. ბ.

„ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს და თითქმის სათქმელი არასოდეს გველეოდა. მეგონა ქალიშვილიც ჩემსავით გულახდილი იყო. ვიცოდი მამა არ ჰყავდა და მიკვირდა — როცა მამაზე ჩამოვუგდებდი ლაპარაკს, ყოველთვის ბანზე მიგდებდა სიტყვას. მაშინ ამისათვის ყურადღება არ მიმიქცევია, რადგან სული მისი სიყვარულით მევსებოდა. სიხარულში გავიდა სტუდენტობის ბედნიერი წლები. ქალიშვილი სოფელს დაუბრუნდა და იქ დაიწყო მუშაობა. პირობა მივეცი მალე ჩამოვალ და ჩვენს სიყვარულს ქორწინებით დავაგვირგვინებთ-მეთქი. სულ მალე გავეშურე საყვარელი ადამიანის სანახავად. ქალიშვილის სოფელში მცხოვრებ ჩემს ნათესავს შევუარე და იქ არასასიამოვნო ამბავი შევიტყვე: თურმე ჩემი გულისწორის დედა სახელ შებღალული ყოფილა. რა თქმა უნდა, ეს მთელმა სოფელმა იცოდა. ვერ გეტყვით, ამ ამბავს რომ ვისმენდი, რა მემართებოდა, ნათესავებისა მომერიდა, თორემ ვიტირებდი, მერე დიდხანს ვებრძოდი ჩემს თავს, რომ იგი არ მენახა, ბოლოს მაინც შევხვდი და გამიკვირდა, თითქოს ჩემი ძველი გატაცება სადღაც გაქრა, გულში სიცარიელე ვიგრძენი. ის აღტაცებული მომჩერებოდა, მე კი მუნჯივით ვიდექი. ბოლოს სისუსტეს ვძლიე და ქალიშვილს დაცილებაზე ჩამოვუგდე ლაპარაკი... თურმე რა უგულო ადამიანი ვიყავი იმ წუთს, გოგონა ფოთოლივით აცახცახდა. შევატყვე პირი გაუშრა, ცრემლები ღაპაღუპით მოსდიოდა. მე კი უძრავად ვიდექი და ბოღმა მახრჩობდა. ქალიშვილმა უხმოდ დამტოვა და წავიდა, მერე მოიხედა და კბილებიდან გამოსცრა: „უშენოდ რა ფასი ექნება ჩემს სიცოცხლესო“... იმ დღიდან შინ, ქუჩაში თუ მეგობრებთან მისი სახე სულ თან დამდევს, მისი ჩურჩული სულ ყურში ჩამესმის. მოსვენება დავკარგე, სამსახურს თავი დავანებე, მეგობრებს თითქმის ჩამოვცილდი. ახლა ვგრძნობ, რა ძლიერი სიყვარულით მიყვარს ის და როგორ მიჭირს უმისოდ ყოფნა. რა ვილონო? განა მეყოფა ვაჟკაცობა ადამიანების დაცინვა ავიტანო? ბოროტს კი რა გამოლევს ამ ქვეყანად. დედისერთა რომ არ ვიყო, შეიძლება ყველაფერზე დამეხუჭა თვალი, მაგრამ დედა? განა იგუებს ოჯახში სახელგატეხილი ქალის შვილს? ამის გამო ხომ შეიძლება მთელი ტრაგედია დატრიალდეს? თავს ვიმტვრევ და ხსნის გზა ვერ მიპოვია. დავქორწინდე? გთხოვთ, მირჩიოთ, როგორ მოვიქცე?“

ზ. ი.



# მოსაგონარი

სამუშაო მაგიდაზე ი. ლაჟეჩნიკოვის „ყინულის სახლის“ თარგმანის სტამბისეული ანაბეჭდები დარჩა. სიცოცხლეში ვერ მოესწრო ბოლო წიგნის სამზეოზე გამოსვლას. ბრმა შემთხვევამ იმსხვერპლა იგი. სიცოცხლის ტრფიალს შუაგზაზე შემოაღამდა.

ჟურნალისტი თამარ ღვინიაშვილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის გაერთიანებული ბიბლიოთეკის გამგე გახლდათ დღიდან დაარსებისა. გამრჯე, განათლებული ქალი სიყვარულით ზრდიდა წიგნად ფონდს, ჟურნალისტთა ბიბლიოთეკას ამდიდრებდა ახალი ლიტერატურით.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხე ჰქონდა შემოვლილი. უყვარდა მშობლიური სანახები და ხვდებოდა სახელგანთქმულ ადამიანებს, შრომით კოლექტივებს, წერდა მათზე, ბეჭდავდა მხატვრულ ნარკვევებს, შემდეგ ერთად შეკრიბა და კრებული გამოსცა „ჭიშკარი ხევში“. ნარკვევებში ჩვენი დღევანდელობა ასახა.

კულტურის დამსახურებული მუშაკი, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი თამარ ღვინიაშვილი თარგმნიდა რუსული ენიდან. ქართველი მკითხველი მისი თარგმანებით გაეცნო ვ. ჩაპლინას წიგნს „ჩემი აღზრდილები“, გალინა ნიკოლაევას „ბრძოლა გზაზე“, ა. ალექსინის „ჩემი ხმა გესმის?“, კ. ფეხერის „ზღვას“, ი. ფრანკოს მოთხრობებს.

მის დაღლილ თვალებს თანდათან ბინდი შეეპარა. სულიერად ძლიერი ქალი ავადმყოფობის ჩასაფრებულ აჩრდილს შინაგანად ეომებოდა. მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა ჯანმრთელობის აღდგენის სიხარული. მოულოდნელმა შემთხვევამ დაამარცხა იგი. წავიდა ჩვენგან მართალი გულის, მაღალი კულტურის, კეთილშობილებით სავსე ადამიანი, ჩვენი თამარი! მისი ნათელი სახე მარად იცოცხლებს კოლეგებისა და მეგობრების ხსოვნაში.



სიუზან მნუზმანა

# მოხუცებულობა აპარტეიდის პირობებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც ინვალიდების საერთაშორისო წელს ბერლინში (გდრ) სარა და მარტინ კაუფმანების სახელობის ხანდაზმულთა სახლს ვეწვიე, ჩემთვის საბოლოოდ ნათელი გახდა პასუხი კითხვაზე, რომელიც ბევრს აინტერესებს: შეიძლება თუ არა, ადამიანმა მოხუცებულობაში შეინარჩუნოს შინაგანი ღირსების გრძნობა? ბერლინში, ხანდაზმულთა სახლში ჩემს თვალწინ გადაიშალა სრულიად ახალი სამყარო, როდესაც დავინახე სამედიცინო პერსონალის მზრუნველი დამოკიდებულება მათზე მინდობილი ადამიანების მიმართ და მოხუცების აშკარად ხალისიანი გუნებ-განწყობა.

როგორ არა ჰგავს ყოველივე ეს ჩემი სამხრეთ აფრიკის ბედის ანაბარად მიტოვებული შავკანიანი ბებიების და ბაბუების ცხოვრებას! მოხუცებულობა მათთვის წყევლაა, რადგან საზოგადოებას ისინი ჩამოწერილი ჰყავს თავისი ანგარიშებიდან. მაშინ, ბერლინში მე კიდევ მეტად ვირწმუნე აპარტეიდის სალიკვიდაციოდ და თავისუფლების ქარტიაზე დამკვიდრებული ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების შენებისათვის ბრძოლის სამართლიანობა. ჩვენი იმედები ამ ყველასთვის მნიშვნელოვან და სასურველ დოკუმენტთან არის დაკავშირებული, იგი რწმენით აღავსებს ყველას, ვისაც უყვარს სამშობლო, სიცოცხლე, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა და თავისუფლება.

ულმობელი ცხოვრება სიღატაკეში, რასისტული რეჟიმის მძიმე უღელქვეშ — ასეთია ხვედრი სამხრეთ აფრიკის ძირითადი მოსახლეობისა, დაბადებიდან—სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. აქ ოფიციალურად დადგენილი საპენსიო ასაკი ქალისთვის 60 წელია, კაცისთვის—65. მაგრამ ამ ასაკს მიღწეულები ცოცხალი გვამები გეგონება. დანაშაულებრივი ექსპლოატაცია, მთელი ცხოვრების მანძილზე რომ განიცდიან, ულმობელ დაღს ასვამს მათს სახეებსა და მთელს მათს გარეგნობას. ბანდუსტანებში, სადაც მშრომელი ხალხის მდგომარეობა დღითიდღე უარესდება, ხშირად ვერც კი გაარჩევ რომელია ოჯახში უფროსი ვაჟიშვილი და ქალიშვილი და რომელი — მშობლები. ახალგაზრდები მაღაროებიდან გამოდიან სნეულ მოხუცებად, ნახშირის მტვერით გამოტენილი ფილტვებითა და ცარიელი ჯიბეებით — ერთი ცენტიც რომ არ გააჩნიათ.

ჩვენ არა გვაქვს მოხუცთა სახლები აფრიკელებისათვის, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე მსგავს დაწესებულებას, რომლებიც ფერადკანიანებისა და ინდიელებისათვის განკუთვნილ ციხეებს უფრო მოგვაგონებს. მთავრობა აცხადებს შავკანიანებს საშუალება აქვთ, თავად იზრუნონ მოხუცებისათვის. ეს მართლაც შესაძლებელი იყო კოლონიალიზმამდე. მაშინ ადამიანებს მართლაც ჰქონდათ სახსრები, მიწა, ჰყავდათ საქონელი, შეეძლოთ განეგოთ საკუთარი ბედ-იღბალი. ახლა ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. სასტიკი კოლონიალიზმის პირობებში, ბუნებისა და ადამიანების რესურსების დაუზოგავი ექსპლოატაციის პირობებში დიდი ოჯახები მძიმე ტვირთად იქცევა. არადა სწორედ შავებმა შექმნეს სამხრეთ აფრიკაში სამოთხე, თეთრი უმცირესობისათვის. სწორედ მათ ააშენეს ქალაქები, გზები, კაშხლები, ისინი მოიპოვებენ წიაღისეულს, უვლიან თეთრების ბავშვებს... და ამავე დროს, მათხოვრულ მდგომარეობაში იმყოფებიან თავიანთ ქვეყანაში, — იქ, სადაც უხეშად ითელება ადამიანის უფლებები.

სამხრეთ აფრიკაში სიღარიბის ზღვარზე მყოფად მიიჩნევა ოჯახი, რომლის ყოველთვიური შემოსავალი 190 რანდს უდრის. იმას კი არ ითვალისწინებენ, რომ ქვეყნის ძირითადი მოსახლეობის საარსებო სახსრები ამაზე მცირეა... იგივე სურათია მოხუცებულობით პენსიის დანიშვნისასაც — რასობრივი დისკრიმინაცია აქაც მოქმედებს. მაგალითად, 1982 წელს პენსიის მაქსიმალური ოდენობა შეადგენდა: თეთრებისათვის 138 რანდს, ფერადკანიანთათვის — 83-ს, ინდიელებისათვის — 83-ს, აფრიკელებისათვის 49 რანდს.

თეთრკანიანთა და შავკანიანთა მდგომარეობის შორის სხვაობა მხოლოდ მათი ნომინალური შემოსავლის მიხედვით არ განისაზღვრება. თუ თეთრებს როცა უნდათ და რომელ საფოსტო განყოფილებაშიც სურთ შეუძლიათ პენსიის მიღება, შავებს — მხოლოდ ერთადერთ განსაკუთრებულ დღეს, ცენტრალურ ფოსტაში აქვთ ამის საშუალება. საცოდაობაა მათი ყურება, ზოგჯერ 15 საათობით რომ უწევთ ათასკაციან და უფრო დიდ რიგში დგომა, რიგში ღამისთევა, ზოგს უკიდურესი დაღლის გამო გული რომ უღონდება და ზოგი კვდება კიდეც, თუ უეცრად გაირკვა, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო მოუწევს ხელცარიელი შინდაბრუნება.

...ჩვენ, აფრიკის ეროვნული კონგრესის წევრებს გვწამს: მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას ადამიანთათვის — მათ შორის მოხუცთათვისაც, ღირსეული ცხოვრების პირობები, როდესაც აპარტეიდი მოისპობა. ამ რწმენას ერთსულოვნად იზიარებენ სამხრეთ აფრიკის თავისუფლებისმოყვარე ხალხები.

იბეჭდება შემოკლებით.

ჟურნალი „ჟენშჩინი მირა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კულინარია

## მწვანილიანი ისპანახი

გადარჩეულ, გარეცხილ ექვსას გრამ ისპანახს დაუმატეთ სამასი გრამი მწვანე ხახვი, ორასი გრამი ნიახური, ასი გრამი ქინძი და მოხარშეთ. გადაიტანეთ თუშფალანგზე, შეაგრილეთ, გაწურეთ ხელით და დაჭერით. შემდეგ დაუმატეთ ორი-სამი სუფრის კოვზი მცენარეული ზეთი და მოშუშეთ. შუშვის დროს ჩაუმატეთ ძალიან წვრილად დაჭრილი ასი გრამი პრასი და უყავით მარილი.

მზა კერძი შეაგრილეთ, შეაზავეთ ბროწეულის წვენით, მოათავსეთ შესაფერ ჭურჭელზე, შეუსწორეთ ზედაპირი, მორთეთ რკალისებურად დაჭრილი ხახვითა და ბროწეულის მარცვლებით.

## მაწვნიანი პრასი

გადარჩეული, გარეცხილი ერთი კილოგრამი პრასი მოხარშეთ, გაწურეთ და დაჭერით. გადაიტანეთ ღრმა ტაფაზე, დაუმატეთ ორი სუფრის კოვზი მცენარეული ზეთი, კარგად მოშუშეთ. უყავით მარილი.

სამი ცალი კვერცხი მაგრად მოხარშეთ, შეაგრილეთ და დაკეპეთ. ერთნახევარი-ორი ჩაის ჭიქა მაწონი გაწურეთ და შემდეგ გათქვიფეთ (ან შეიძლება ერთი ჩაის ჭიქა გაუწურავი მაწონიც იხმაროთ).

მოშუშული პრასი მოათავსეთ ლანგარზე, შეუსწორეთ ზედაპირი, მოაყარეთ დაკეპილი კვერცხი, ცოტა მარილი, დაასხით გამზადებული მაწონი და მოაყარეთ წვრილად დაჭრილი კამა.

## ნიახურ-ნიგვზიანი პრასი

გადარჩეული, გარეცხილი ხუთასი გრამი პრასი მოათავსეთ მდუღარე წყლიან (ორნახევარი ჩაის ჭიქა) ქვაბში და ხარშეთ ოცი წუთი. შემდეგ ჩაუმატეთ გასუფთავებული, გარეცხილი სამასი გრამი ნიახურის ძირხვენა გაფოთლილი ღეროებით და ხარშეთ ათი-თხუთმეტი წუთი. მოხარშული პრასი და ნიახური გადაიტანეთ თუშფალანგში, შეაგრილეთ, ხელით გაწურეთ და დაჭერით.

ნახევარი ჩაის ჭიქა ნიგოზი, სამი ძირი ქინძი, წიწაკა და მარილი დანაყეთ და გახსენით ღვინის ძმარში ან ბროწეულის წვენში, მიღებული მასალა აურიეთ ნიახურიან პრასში, მოათავსეთ შესაფერ ჭურჭელზე და ზემოდან მოაყარეთ ბროწეულის მარცვლები.

## ჭარხალი

ხუთასი გრამი გადარჩეული და გარეცხილი ჭარხლის ფოთოლი, ორასი გრამი ქინძი, სამასი გრამი ოხრახუში მოხარშეთ ცალ-ცალკე. გადაიტანეთ თუშფალანგში, შეაგრილეთ, გაწურეთ ხელით, შეგიძლიათ დაჭრათ; შეაზავეთ წვრილად დაჭრილი ასი გრამი მწვანე ხახვით, მარილთან ერთად დანაყილი სამი კბილი ნივრით და უქაკით გემოვნების მიხედვით ღვინის ძმარი ან ბროწეულის წვენი და წიწაკა.

## ჭარხალი მაწვნით

გასუფთავებული, გარეცხილი შვიდასი გრამი ჭარხალი მოხარშეთ ან შეწვით, მოაცილეთ კანი და დაჭერით წვრილად.

ორასი გრამი მწვანე ხახვი ძალიან წმინდად დაჭერით, დაუმატეთ, ერთი სუფრის კოვზი მცენარეული ზეთი და კარგად მოშუშეთ. ჩაუმატეთ წინასწარ გამზადებული დაჭრილი ჭარხალი, ერთი სუფრის კოვზი მცენარეული ზეთი და განაგრძეთ შუშვა. შუშვის დასასრულს შეურიეთ წვრილად დაჭრილი მწვანილი (ქინძი, ოხრახუში, კამა) და უყავით მარილი. მზა კერძს სუფრაზე მიტანისას მოასხით ნახევარი — ერთი ჩაის ჭიქა მაწონი.

## მოხარშული კარტოფილი პრასით

ერთი კილოგრამი კარტოფილი გათალეთ, გარეცხეთ, მსხვილად დაჭერით, მოაყარეთ მარილი, მოათავსეთ ქვაბში, დაუმატეთ წვრილად დაკეპილი სამასი გრამი პრასი, ორი-სამი სუფრის კოვზი ცხიმი, დაასხით ცოტა ცხელი წყალი და მოხარშეთ. მოხარშულ კარტოფილს დაუმატეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუშის ფოთოლი, აურიეთ და გადაიტანეთ შესაფერ ჭურჭელზე. ზემოდან მოაყარეთ დაფხვნილი ასი-ასორმოცდათი გრამი ყველი (ბრინზა, იმერული, სულგუნი), წვრილად დაჭრილი პიტნა ან ქონდარი და დანაყილი წიწაკა.

## უხორცო ხარშო

წვრილად დაჭრილი სამასი-ხუთასი გრამი ხახვი მოშუშეთ ოცდაათ-ორმოცდაათ გრამ კარაქში ან მარგარინში. დაასხით შვიდი ჩაის ჭიქა წყალი და ადუღეთ. ჩაუმატეთ გადარჩეული, გარეცხილი ნახევარი ან სამი მეოთხედი ჩაის ჭიქა ბრინჯი ან ვერმიშელი. ბრინჯი რომ მოიხარშება წვენს დაუმატეთ წვრილად დაჭრილი ქინძი, ოხრახუშის ფოთოლი, დანაყილი ნიორი, წიწაკა და მარილი. ჩაუმატეთ აგრეთვე ნახევარი ჩაის კოვზი დანაყილი ქინძის თესლი, ერთი ჩაის კოვზი ხმელი სუნელი, ერთი ჩაის კოვზი დანაყილი ზაფრანა. შემდეგ დაუმატეთ მოხარშული და საცერში გატარებული ტყემალი ან პამიდორი ანდა დამბალი და საცერში გატარებული ტყემლის ტყლაპი (შეგიძლიათ გამოიყენოთ ტყემლის ან პამიდორის მზა საწებელი). ხარშო შეიძლება შეზავდეს ღვინის ძმრით, ამ შემთხვევაში, ტყემალი, ტყლაპი და პამიდორი საჭირო აღარ არის. სუფრაზე მიტანისას ხარშოში ჩაყარეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუშის ფოთოლი ან ქინძი.

თამარ სულაქველიძე

# ჭრელ-ჭრელი

* * *

„შეშლილი საუკუნის ყვავილი“ — ასე მონათლეს ყიბაოს ნორჩ ნატურალისტთა სადგურის დამთვალიერებლებმა ერთი მცენარე. იგი იმ კაქტუსის ნარჩენიდან აღმოაცენეს, ხიროსიმაში აფეთქებისას რომ დაიწვა. გაურკვეველი მიზეზის გამო, მცენარე სისხლისფერია, თითქოს თავისი დაღუპული წინაპრის სახსოვრად.

* * *

ყოველდღიურად, დედამიწის ყოველ კუთხეში, წარმოთქვამენ სიტყვას, რომლის მნიშვნელობაც უმრავლესობისათვის გაუგებარია. ეს სიტყვა არის „ალო“, — რომლითაც ვიწყებთ ტელეფონით ლაპარაკს და ისე მჭიდროდ დაუკავშირდა ტელეფონს, რომ მასთან ერთად დაბადებული გვგონია. სინამდვილეში, იგი ტელეფონზე ცოტა უფროსია. 1803-1806 წ. გამოცემულ ნ. იანოვსკის „ახალ სიტყვათა განმარტებებში“, ნათქვამია: „სიტყვა „ალო“-ს საზღვაო გემზე იყენებენ და „მისმინეს“ ნიშნავს. მას რუპორით გადასცემენ ხომალდს, რომელთანაც დალაპარაკება სურთ, და ყურადღების გამახვილებას მოითხოვენ“.

* * *

რენტგენოგრაფიის დიდ წარმატებად ითვლება შესაძლებლობა: მივიღოთ მაღალ ხარისხოვანი სურათი გამოსხივების მინიმალური დოზის დროსაც კი. ახლა შეგვიძლია ახლებურად მივუდგეთ ნაყოფის განვითარების კვლევის რთულ პრობლემასაც. სპეციალისტების აზრით, ახლო მომავალში დამუშავდება იოლი მეთოდი, რომლითაც დედის მუცელშივე აღმოვაჩენთ ბავშვის ორგანიზმში არსებულ დეფექტებს.

* * *

ალაბამის უნივერსიტეტის სწავლულთა ჯგუფის ბოლო მეცნიერულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ქალები, ფიზიკურად, კაცებზე გაცილებით ამტანები არიან.

გულის დაავადებათა დიაგნოსტიკის შესწავლის შედეგად, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ყოველი ათი წლის შემდეგ კაცის ფიზიკური ამტანობა 10 პროცენტით ქვეითდება, ქალისა კი — მხოლოდ 2 პროცენტით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 60 წლის ჯანმრთელ ქალს შეუძლია 90 პროცენტით შეასრულოს ის ფიზიკური ვარჯიშები, 20 წლისა რომ ასრულებდა ხოლმე. ხოლო იმავე ასაკის კაცს — ახალგაზრდობის დროინდელი ვარჯიშების მხოლოდ 60 პროცენტი.

* * *

„დიდად პატივცემულო კარადავ!“ — ჩეხოვის პიესის რეპლიკა მეტად მოუხდება ნიუ-იორკის ერთ-ერთ დაწესებულებაში არსებულ სიტუაციას. იქ, კარადის მსგავსი ერთ-ერთი სტელაჟი სხვა არაფერია, თუ არა... რობოტი. იგი თავისუფლად მოძრაობს დერეფნებში, შედი-გამოდის განყოფილებებში, ერთგან საჭირო დოკუმენტს ტოვებს, მეორეგან სხვა დოსიე და დოკუმენტაციები მიაქვს და აბარებს. საკმარისია თქვათ: „წადი ამა და ამ განყოფილებაში და წაიღე ესა და ეს კორესპონდენცია“. კარადის მოძრაობას პარკეტის ქვეშ დაგებული კაბელი არეგულირებს.

* * *

იაპონიაში, გეოთერმული ენერგიის გამოყენების ერთი სახეობა ისიც გახლავთ, რომ კუნძულ ხოკაიდოს ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებლები ცხელ წყაროში კვერცხებს ხარშავენ.



## ეგვიპტის ხელოვნება

## „ორი ქალი ლეღვის ხის ქვეშ“

(ფრაგმენტი)

ძველი ეგვიპტე („კემე“ — „შავი“, ასე უწოდებდნენ ეგვიპტელები თავის ქვეყანას. ნიადაგის ფერის გამო, უდაბნოს „წითელი“ მიწისაგან განსხვავებით), — კაცობრიობის ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი კერა, — ჯერ კიდევ პალეოლითის ეპოქაში (ძვ. წ. X-VI ათას წ.) იყო დასახლებული.

ძველი ეგვიპტის კულტურა ისე ვითარდებოდა, რომ სხვა კულტურები რაიმე მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენდნენ მასზე და დამოუკიდებელი, თვითმყოფადი იყო.

ეგვიპტის ხელოვნების მონაპოვარია სკულპტურული პორტრეტი, კლასიკური არქიტექტურული ფორმები: პირამიდა, ობელისკი, სვეტი, არქიტექტურული დეკორის სხვადასხვა ელემენტი, მრგვალი ქანდაკება, რელიეფი, მონუმენტური ფერწერა. ეგვიპტელებმა პირველებმა აითვისეს ქვის კონსტრუქციული და დეკორატიული შესაძლებლობები; პლასტიკური ხელოვნების ძირითადი საშუალებები: მოცულობა, მასა, სიბრტყე, ხაზი, სილუეტი, ფერი-ფერწერასა და რელიეფში.

გთავაზობთ ეგვიპტური ხელოვნების ნიმუშს — „ორი ქალი ლეღვის ხის ქვეშ“.

გარეკანის პირველ გვერდზე — მოწინავე მქსოველი მზია მიქაცაძე. დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდი; მეოთხეზე — „ორი ქალი ლეღვის ხის ქვეშ“.

რედაქტორი მარიკა ზარათაშვილი

სარედაქციო კოლეგია: გ. ზანძელაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ჟვანია, პ. ჟღენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქ ტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 7.II.83 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.III.83 წ. ქაღალდის ზომა 60×1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.8.

ტირაჟი 127 500. შეკვ. 357. უე 06950

# ამ დროს იგი მლოცველსა ჰგავს!



ეროვნული ბიბლიოთეკა

მასთან მხოლოდ ბედნიერი წყვილები მოდიან — მომავალი მეუღლენი. ხშირად მისი რჩევაც სჭირდებათ; ქალ-ვაჟს შორის დავაა იმაზე, საპატარძლოს თეთრი კაბა უფრო მოუხდება, თუ, ვთქვათ, ვარდისფერი. ციცინო ცხოვრებაშვილის სიტყვას, როგორც იტყვიან, წყალი არ გაუვა. მერე ხელები საოცარი სიზუსტით და დაბეჯითებით ჭრიან თეთრსა თუ ვარდისფერს, ცისფერსა თუ მდელოსფერ საკაბეებს. ამ დროს ციცინო მლოცველს უფრო ჰგავს! უნდა, რომ ყველა ბედნიერი იყოს, მყარი და ტკბილი ჰქონდეთ ახალი ოჯახი...

შრომის დიდების ორდენის კავალერი, კომუნისტი ციცინო ცხოვრებაშვილი საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატ „პირიმზეში" გახსნის დღიდან მუშაობს. იგი გამომჭრელია და ძირითადად საქორწინო კაბებს ჭრის.





— სიხარულით აფოფინებულ პატარძალს რომ ვხედავ, მეც მიხარია და ძალიან მაინტერესებს მისი მეწყვილეს ნახვა, რადგან მე ისინი უკვე ორივე მიყვარს. გაივლის ხანი და გუშინდელი დედოფალი უკვე თავისი პატარათი გამოგეცხადება, ამჟამად სულ სხვა საქმეზე. აი, სიხარული მაშინ უნდა განახათ...

ციცინო ეშმაკურად იცინის და ისევ განაგრძობს:

— ოთხი წლის წინათ გაზეთ „თბილისში" ჩემზე წერდნენ, მაქებდნენ და მადიდებდნენ. ბოლოს კბილიც გამკრეს, ყველას აბედნიერებს, თვითონ კი მარტოხელა დაიარებაო... ამან ისე იმოქმედა ჩემზე, ისე დამაფიქრა, რომ სამ კვირაში გავთხოვდი და ჩემივე შეკერილი საქორწინო კაბა ჩავიცვი...

— ახლა დღეში ზოგჯერ შვიდ-რვა კაბას გამოვჭრი ხოლმე და მიხარია, რომ ამდენი წყვილი ბედნიერდება, ამდენი ახალი ოჯახი იქმნება.

საპატარძლოებისათვის ქუდები, ფატები და ყვავილებიც აქვე მზადდება. ამიტომ ციცინოსა და მის მეგობრებს ყოველ დღე შეუძლიათ თვალი ასიამოვნონ და პირველებმა იხილონ მომავალი დედოფლები.

ვინც ბედნიერდება, ვისაც სურს საქორწინო კაბა შეიკეროს და ცხოვრებაში ამ ულამაზეს და უბედნიერეს დღეს, რომ იტყვიან, სასურველ ფორმაში იყოს, იცოდეს, რომ მას საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატ „პირიმზეში" უკვე ელიან, ელის ციცინო ცხოვრებაშვილიც, რომელიც ყოველნაირად შეეცდება და მიაღწევს კიდეც, რომ ლამაზი და ჰაეროვანი იყოთ, რომ ეს დღე არასოდეს წაიშალოს თქვენი და თქვენი ახლობლების მეხსიერებიდან.

რუსუდან ყიფიანი



ეროვნული ბიბლიოთეკა